F262/N13028
L

საქართველოს [illegible] ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 2 № 183
წელიწადი მეოთხე

ოთხშაბათი, 1918 წ. ღვინობისთვის 2 № 183
ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა **15--73**

უკანასკნელი ცნობები

კამბრეს და სენ-კოტენის შუა დიდი ბრძოლებია.—შამპანში გერმანელებმა ამერიკელების სასტიკი იერიშები მოიგერიეს.—ბულგარეთში აჯანყებამ იფეთქა; ხმებია ხალხმა ფერდინანდს ტახტიდან გადადგომა მოსთხოვაო; ენკენისთვის 24-ს ბულგარეთის საზავო დელეგაცია სტრუმში გაემგზავრა.—ციმბირში სამხედრო ცვლილებაა მოსალოდნელი; ვაჭარმრეწველნი სამხედრო დიქტატურას ითხოვენ.—თბილისში მიღებულ კერძო ცნობებით ქ. კავკავი გენ. ალექსეევს აუღია.—განჯასთან ადგილობრივ თათრების აჯანყება ოსმალეთის წინააღმდეგ ჩააქრეს.—პროფ. ცუგმაიერის ცნობა ბულგარეთის ამბების შესახებ.—თბილისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე საგანგებო რაზმის საწინააღმდეგო რეზოლიუცია მიიღეს.

ენკენისთვის 30-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ნიკოლოზ (კოლა) კონსტანტინეს ძე

ე გ ა ძ ე

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გულდამწვარი დედა ნინო ეგაძისა, ძმა, დები, სიძეები და დისწულები. გამოსვენება ხუთშაბათს, ოქტომბრის 3-ს დილის 9 საათზე სულით ავადმყოფთა თავშესაფარიდან (კოჯრის ქუჩა). წირვა და დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—1786—1)

საქართველო

ყოველდღიური ორგანო ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, გამოდის

გერონტი ქიქოძის რედაქტორობით

და

შალვა ამირეჯიბის, ალექსანდრე ასათიანის, გიორგი გვაზავას, რაფიელ ინგილოს, პავლე ინგოროყვას, სპირიდონ კედიას, დავით კასრაძის, ტიტე მარგველაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, პეტრე სურგულაძის, ტიციან ტაბიძის შალვა ტატიშვილის და ლელი ჯაფარიძის უახლოესი თანამშრომლობით.

გაზეთის ფასი: პირველი ღვინობისთვიდან წლის დამლევამდე 25 მანეთი. თვიურად 10 მანეთი. ცალკე ნომერი თბილისსა და პროვინციაში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კაპ.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია [illegible]
ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს, დაიდგმის

აიდა

ოპერა 4 მოქმ. და 7 სურათად, მუს. ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: შამბერგი, სპიტკო, კანშინი, პოლიაევი, საბინინი, ორლოვი, ორლიუკი.

დირიჟორი სტოლერმანი. - დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
3 ოქტომბერს „კარმენი“. 4 ოქტომბერს „დუბროვსკი“. 1—1

კონსერვ. ტორის დარბაზი

(გრიბოედოვის ქუჩა)

შაბათს, 5 ოქტომბერს გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის

პოეზიის საღამო

ბილეთები იყიდება წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში. 1—1

სამხედრო სამინისტროს

საადმინისტრაციო ნაწილი ამით აცხადებს, რომ თბილისის სამხედრო პირველ სურსათის მთავარსაწყობში 13 ოქტომბერს საჯარო ვაჭრობით გაიყიდება 2464 ფუთი ხორბლის მტვერი, 2026 ფუთი უვარგისი ღანძილის წილი. 250 ფუთი შაქრის მტვერი, 1720 ფუთი წიწაკა, 5214 ფუთი დაფნის ფოთოლი და 1576 ფუთი ქაშაყ-თევზი (Сельди), ხოლო 6 ოქტომბერს საჯარო ვაჭრობითვე გაიყიდება მეორე სასურსათო მთავარსაწყობიდან 200 ფუთი ხორბლის მტვერი. საჯარო ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე. დაწვრილებითი პირობების გაგება მსურველთ შეუძლიანთ გაიგონ ზემოხსენებულ საწყობებში და სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო ნაწილში. 3—2

ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

„საქართველოს“ კონტორა მოაგონებს თბილისსა და პროვინციის ხელის მომწერთ, რომ ვისაც გაზეთის ხვედრი ფული არ გადაუხდია უნდა შემოიტანონ 10 ღვინობისთვემდე წინააღმდეგ, შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ. 5—2

ეროვნული კონცენტრაციის მთავრობა

ჯერ კიდევ დანამდვილებით არ ვიცით რა ხდება ბულგარეთში: ფრონტის შებრუნება თუ ფრონტის დაშლა. უეჭველია მხოლოდ, რომ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ძალთა თანასწორობა დარღვეულია და ცენტრალურ სახელმწიფოების კავშირს დასჭირდება ჯარის გადაჯგუფება, რათა შედრეკილი და გარღვეული სამხედრო ხაზი ხელახლა განმტკიცდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კონსტანტინეპოლი ძალაუნებურად მოსწყდება ბერლინსა და ვენას და სრულიად განმარტოებული დარჩება მოწინააღმდეგე კოალიციის განკარგულებაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენმა მოკავშირეებმა ჩქარი ზომები მიიღეს კიდეც ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ბერლინიდან მოსული დეპეშის მიხედვით „გერმანიის უმაღლესმა სამხედრო მართველობამ ფიცხლავ გაგზავნა თავის ჯარის რეზერვები ბულგარეთისკენ მოკავშირის დასახმარებლად. ნაწილი ამ ჯარისა კიდეც მივიდა დანიშნულებისამებრ, ნაწილი კი ჯერ ისევ გზაშია. ავსტრია-უნგრეთმაც გადასხა საკმაო მაშველი ჯარი მაკედონიის ფრონტისათვის“.

პოლიტიკურად მოაზროვნე ქართველ პატრიოტს დიდათ შეაშფოთებს და დააღონებს ბულგარეთიდან მოსული ცნობები. ჩვენი სამშობლო ბოლო დროს დიდს საერთაშორისო ოჯახში შევიდა. მაგრამ ჩვენი ახალგაზრდა სახელმწიფოს ხელმძღვანელები ვერ ავიდნენ საერთაშორისო პოლიტიკის შეგნების სიმაღლეზე. თუმცა ფიზიკურად კულტუროსან ევროპას დავუახლოვდით, სულიერად დღესაც ისეთივე უზრუნველი აზიელები ვართ, როგორც გუშინ ვიყავით. ძლიერმა გერმანიამ ხელი გამოგვიწოდა და სულგრძელი დახმარება გაგვიწია, როცა ჩვენი სამშობლო გაავთრებული მტრების ანაბარა იყო დარჩენილი. დღეს ჩვენი მფარველები და მოკავშირეები ისეთს მდგომარეობებში იმყოფებიან, რომ მათთვის მნიშვნელობა აქვს მცირეოდენ ძალასაც. რა გავაკეთეთ ოთხი თვის განმავლობაში და რა გაგვაჩნია დღეს, რომ ან სხვას ვარგოთ ან, უკიდურეს შემთხვევაში, თავის თავს მაინც მოუაროთ?

გავიხსენოთ ბაქო და გავიხსენოთ ეკატერინოდარი. ღრუბლები ხელახლა მოიწევიან საქართველოსაკენ. მაღალფარდოვანი ფრაზები არ გამოდგება სეტყვის მფანტავ ზარბაზნების გასატენად. ჩვენ კი ჯერ არაფერი შეგვიქმნია გარდა უნიჭო ფრაზეოლოგიისა.

მეთორმეტე ჟამი დაირეკა საქართველოსთვის! დადგა დრო, როცა შეგვიძლია ბევრი რამ მივიღოთ, მაგრამ ადვილად შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ, თუ არ გამოვიჩინეთ ნერვებისა და კუნთების ძალა რეგულიარული ჯარი, რაიცა შენივთებულ და მოკუმშულ ეროვნულ ნებისყოფას უნდა წარმოადგენდეს, დაუსრულებელი ფორმაციის ხანაში იმყოფება. ფინანსიური მეურნეობა, რაიცა მთელს სახელმწიფოს საკვებსა და მამოძრავებელ ძალას უნდა აწოდებდეს, ჯერ კიდევ არ გამოსულა პირვანდელი ემბრიონული მდგომარეობიდან. მთავრობა, რომელიც მთელს ერს უნდა ხელმძღვანელობდეს, ჯერ კიდევ ვერ გასცილებია კლასობრივსა და პარტიულ პოლიტიკის ვიწრო ბილიკს.

განახლება ზემოდან უნდა დაიწყოს. სოციალისტური ბლოკის მთავრობამ უნდა შეიგნოს, რომ მას არ ძალუძს სრული პასუხისმგებლობის კისრება ასეთი განსაცდელის ჟამს. ბ. ნოე ჟორდანიას კაბინეტი უნდა დასთანხმდეს ნაწილობრივ რეორგანიზაციას. დაყოვნება მომაკვდინებელი ცოდვა იქნებოდა. უნდა შესდგეს ეროვნული კონცენტრაციის მთავრობა, რომელიც თავს მოუყრის ცხოველმყოფელ ძალებს პარტიული რწმენისა და მიმართულების მიუხედავად.

ჩვენთვის საშიშია ერთს ადგილზე გაყინვა, ჩვენთვის საშიშია მოუფიქრებელი ნახტომის გაკეთებაც. ნელი, მტკიცე ნაბიჯებით უნდა წავიდეთ ახალი მიზნებისაკენ.

გერონტი ქიქოძე.

გერმანულ-კავკასიური ბანკი.

(მ.დ-რ.ვესტერნჰაგენის წერილის გამო).

ადგილობრივს გერმანულს გაზეთში ბ. ვესტერნჰაგენმა დასტამბა წერილი შესახებ გერმანულ-კავკასიურ ბანკისა, რომლის გახსნის იდეა დაბადებულა ადგილობრივ ფინანსიურს წრეებში. წერილი პატივცემულ დოქტორმა რუსულს გაზეთებშიაც მოათავსა თითქმის უცვლელად. საჭიროდ მიგვაჩნია ამ წერილებზე მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

ბ. ვესტერნჰაგენი ჰკითხულობს: ჰსაჭიროებს თუ არა ამიერ-კავკასია ასეთს ბანკს? რაგვარი დამზადებული ნაწარმოები გვჭირია ჩვენ ამ ჟამად? დანები, თეფშები ოჯახისათვის, მანქანები სასოფლო მეურნობისათვის, ელექტრონის განათების მოწყობილება, ქიმიური და სამედიცინო ნივთები ავათმყოფებისათვის. ყოველივე ამისათვის საჭიროა კაპიტალი. ვის შეუძლიან ჩვენთვის საქონლის მოწოდება?. „ბ. დოქტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ დღევანდელს პირობებში ამ საქონელს ჩვენ ვერ შემოვიტანთ ვერც ინგლისიდან, საფრანგეთიდან და ვერც რუსეთიდან. რჩება გერმანია, რომელსაც ეხლავე სურვილი აქვს და შეძლებაც, რომ დაგვეხმაროს“. ამის შემდგომ პატივცემული დოქტორი სამართლიანად აღნიშნავს. რომ საქონლის შესაძენად საჭიროა ფული და საჭიროდ სთვლის უწინარეს ყოვლისა ამ ფულის გამონახვას, ავტორი ჰკითხულობს—შეიძლება თუ არა ყველა ამ ოპერაციების წარმოება ადგილობრივ, უკვე არსებული ბანკების საშუალებით და ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლევა: „ეს ბანკები უმთავრესად რუსული ბანკებია და თვისი ცენტრალური განყოფილებანი პეტროგრადსა და მოსკოვს აქვთ. ამიტომ ამბობს, ბ. ვესტერნჰაგენი, უნდა დაარსდეს ახალი ბანკი, რომელიც იმუშავებს ადგილობრივ და გერმანულ კაპიტალით და კავშირი ექნება გერმანიასთან. სანამ ასეთს ბანკს არ დავაარსებთ, ჩვენ გერმანიიდან საქონელს ვერ მივიღებთ“.

ვფიქრობთ რომ ასეთი კატეგორიული დასკვნით სურდა ბ. დოქტორს იმ საბუთების გადმოცემა, რომელნიც მას მოჰყავს გერმანულ-კავკასიურ ბანკის აუცილებელ საჭიროების დასამტკიცებლად. მართლაც და, ნუ თუ მხოლოდ ამ ბანკის საშუალებით შეიძლება გერმანიასთან ვაჭრული კავშირის დაჭერა და ნუ თუ ჩვენ მართლაც გერმანიიდან „საქონელს ვერ მივიღებთ“ უკეთუ ასეთს ბანკს არ დავაარსებთ?

რაც შეეხება რუსულ ბანკებს, ბ. დოქტორმა ალბად კარგად უწყის, რომ მათი უმრავლესი ნაწილი ისეთივე გერმანულია, როგორიც იქნება ახლად განზრახული ბანკი. ის გარემოება, რომ ამ ბანკების მთავარი განყოფილებანი მოსკოვსა და პეტროგრადს იმყოფებიან, ასეთს დაბრკოლებას არ წარმოადგენს საქმისათვის, ვინაიდან მათ განყოფილებებს თბილისში სრული საშუალება აქვთ სავაჭრო წარმოებისა და თუ ბერლინთან მათ განსაკუთრებული კავშირის დაჭერა დასჭირდებათ, ეს უკვე მოწყობილი იქნება მას შემდგომ, რაც რუსეთმა გერმანიასთან ზავი ჩამოაგდო და ყოველს შემთხვევაში, ასეც რომ არ იყოს, ასეთი ურთიერთობის შექმნა უფრო ადვილ საქმედ უნდა ჩაითვალოს, ვინემ ახალი ბანკების დაარსება აქ და ბერლინში.

ბ. დოქტორი გერმანულ ფაბრიკანტის შიშს გამოსთქვამს: ვინ გადუხდის მათ უცხო ქვეყანაში გაგზავნილ საქონელში, სადაც აქამომდე კიდევ რევოლუციაა გამეფებული? ამის გარანტიად მას გერმანულ-კავკასიური ბანკი მიაჩნია და უამისოდ არც ერთი გერმანელი ფაბრიკანტი არ შემოიტანს საქონელს ჩვენში ფულის დაკარგვის შიშით.

ბ. ვესტერნჰაგენმა ალბად კარგად უწყის, რომ თუ გერმანიიდან დღემდის არავითარი საქონელი არ შემოსულა, ვითომც და ფულის დაკარგვის შიშით, სამაგიეროდ საქართველოდან მრავალი მილიონის საქონელი გატანილა და აქაური ბანკებისა და კომერსანტების აკრედიტივები ბლომად მიუღიათ ბერლინის ბანკებს. ამის შემდგომაც უნდა ჰქონდეთ გერმანელ ფაბრიკანტებს ფულების დაკარგვის შიში? ნუ-თუ მათთვის ახლად განზრახული ბანკის აქაური ანგარიშები უფრო უზრუნველყოფილი იქნება, ვინემ ის ანგარიშები, რომელიც უკვე გახსნილია „დოიჩე ბანკში“ ჩვენი ქვეყნიდან გატანილ საქონლის ფასად. ბ. დოქტორმა კარგად უნდა უწყოდეს, რომ თუ გერმანიიდან ჯერ საქონელი არ შემოსულა, ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ გერმანელ ფაბრიკანტებს ფულის დაკარგვა ეშინიათ—ამ ფულის მიღება მათ გერმანიაშივე შეუძლიანთ, თუნდაც აქედანვე, არამედ სულ სხვა პოლიტიკურ-ფინანსიური მოსაზრებები. გერმანია ფრიად სალს პოლიტიკას აწარმოებს, რომ დიდის სიფრთხილით აწყობს უცხო ქვეყნებში თავის ნაწარმოების გატანას და დიდათ უფრთხის თავის ფულის სხვა ქვეყნებში გასვლას.

გერმანიას უკვე მოწყობილი აქვს ჩვენს ქვეყანაში საჭირო მასალის შეძენის საქმე განსაკუთრებული კომისიის საშუალებით და ასეთსავე გზას დაადგა საქართველო ბერლინში სათანადო ორგანიზაციის შექმნით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამის შემდგომ მოეწყობა გერმანიიდან შემოტანა იმ საქონლისა, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება და იქ კი იშოვება. საქართველოს ხაზინა რასაკვირველია ზომებს მიიღებს, რომ გერმანულ ფაბრიკანტებს ფულის დაკარგვის შიში არ ჰქონდეს. ჩვენ მხოლოდ გაკვირვება უნდა გამოვთქვათ, რომ ბ. ვესტერნჰაგენი ამ ზომად კატეგორიულად აცხადებს, რომ თუ ასეთი ბანკი არ დაარსდა, არც ერთი გერმანელი ფაბრიკანტი საქონელს არ შემოიტანს საქართველოში ფულის დაკარგვის შიშით. ვფიქრობთ, რომ საქართველოს გერმანიასთან, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ურთიერთობა და მაშასადამე საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმეც განსაკუთრებული ხელშეკრულობებითა და პირობებით არის განსაზღვრული და ამა თუ იმ პატივცემულს პირს არ შეუძლიან მათი შეცვლა, თუნდაც ეს ხდებოდეს ფრიად სახეირო საქმის მოწყობის მიზნით.

დასასრულ, ბ. დოქტორი გვამცნობს—ვინაიდან ბანკის მოწყობის საქმე 2—3 თვეს შეიწირავს, ჩვენ დღეიდანვე უნდა მოვაწყოთ ყველა ადგილებში სადეპოზიტო კასები. ეს სადეპოზიტო კასები გერმანულ დელეგაციის მიერ იქნება დაცული.

მაგრამ რას წარმოადგენს ფინანსიურად ბ. დოქტორის დასკვნა შესახებ სადეპოზიტო კასების დაარსებისა? სანამ ბანკი მოეწყობოდეს ე. ი. შეიკრიბებოდეს მისი თანხა, მიიღებოდეს ნებართვა და სათანადო ორგანიზაცია შეიქმნებოდეს, უნდა გაიხსნას სადეპოზიტო კასები, სადაც ჩვენი ხალხი შეიტანს ყველა თავისუფალ თანხებს. ბ. დოქტორის ასეთი განზრახვა თუ გამართლდა, შეიძლება საჭიროც აღარ გახდეს ბანკის თანხის აქვე ფულად შეკრება და საკმაო იქნეს რომელიმე ბერლინის ბანკის გარანტია და მით ფულის გერმანიაშივე დატოვება. აქ შეკრებილი ფულებით კი ბანკი შეუდგება თავის ოპერაციებს და რასაკვირველია უწინარეს ყოვლისა გერმანიაში გასაზიდ საქონლის შეძენას.

ა. ასათიანი.

კეთილშობილება ბოლომდის

ქართულ საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობენ გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილის და სხვათა დაჭერაზე. მთავრობამ გამოუშვა ოფიციალი ცნობა, რომლითაც დაჭერილებს ბრალდებათ შავი რაზმის ორგანიზაციის მოწყობა, მაგრამ, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, ხმები ამეტებენ და ბრალდებაც უფრო იზრდება, ეროვნულ საბჭოშიაც არის ამის შესახებ შეკითხვა განზრახული.

ეს ამბავი უფრო მეტ ინტერესს იწვევს, რადგან ლაპარაკობენ გერმანელების ჩარევაზე საქართველოს შინაურ საქმეებში და სახელმწიფოს ღალატზე, აგრეთვე ეს პირველი შემთხვევაა, როცა თავად-აზნაურობა რევოლუციის დაწყების შემდეგ ქართულ პოლიტიკაში ერევა.

როგორც არ უნდა გათავდეს საქმე—ეს მოვლენა მეტად საინტერესოა, როგორც დღევანდელი პოლიტიკისთვის, ისე ისტორიულ ანალოგიებით.

ის თაობა, რომელიც ეხლა ქართულ საქმეებს განაგებს, თავად-აზნაურობის სიძულვილზეა აღზრდილი, ვერავინ იტყვის, რომ ამ სიძულვილს არ ჰქონდეს გამართლება. ეს იმ მოგონებას ეკუთვნის, როცა რუსეთის იმპერატორები იპყრობდენ საქართველოს, მაშინ დამპყრობელებმა თავად-აზნაურობაში მოძებნეს მოკავშირენი და სამშობლოს ღალატის საფასით თავად-აზნაურობა სცდილობდა თავის გავლენის განმტკიცებას. როცა გააღეს ყველა კარები და საქართველო თავის ხელით დაუმორჩილეს რუსებს, როცა სათითაოდ დაამარცხეს საქართველოს ტახტის მრავალრიცხვიანი პრეტენდენტები, და თვიანთ თავის შესარცხვენად ნივთებივით გაგზავნეს რუსეთში, შემდეგაც არ იშლიდნენ ღალატს. ისტორია რუსის იმპერატორების „ნამესტნიკები“-ს საქართველოში

შერცხვენის ისტორიაა ქართველ თავადებისთვის. ღალატის სირცხვილი ვერ ჩამოაცალა იმას ვერც 32 წლის შეთქმულებამ. ქართული პრესის ჩასახვისთანავე დაიწყო ამის მხილება და ქართველ პატრიოტებს არ შეეძლოთ ამის დავიწყება; თვითონ თავად-აზნაურობა დარწმუნდა შემდეგში, რომ ძველი გზა—მათთვის სირცხვილის გზა იყო.

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც საქართველოს ეროვნული კრება გაიხსნა. ეს კრება მოწვეული იყო, რომ ჩაებარებია თავად-აზნაურობის ქონება, რომელიც ქართველ ხალხს დაუბრუნეს. ამ რევოლუციის დროს ჩვენ არ გვახსოვს ისეთი განათება რევოლუციონური პატრიოტების როგორც 19 ნოემბერს. მაშინ დავიწყებული იყო ძველი ღალატი და ახალი ღალატის შესაძლებლობა, ზეშთაგონებული, როგორც ძველი მაგი თავის დაბმული ენით ლაპარაკობდა ნოე ჟორდანია და ამის პირით დემოკრატიული საქართველო, მან მადლობით მოიხსენია თავად-აზნაურობა და კეთილშობლიური უწოდა მათ საქციელს.

ყველა გრძნობდა, რომ ამ დროს დიდი ისტორიული პატიება ხდებოდა. ჩვენ ვიყავით ნ. ჟორდანიასთან და კრებაზე დამსწრე თავადებიც გრძნობდენ, რომ იყო პატიება. შემდეგ რევოლუციის, თუ ანარქიის სვლაში, როცა ხალხი იჩენდა ზედმეტ ეგოიზმს და გორის ოსები შემუსვრას უქადოდენ თავად-აზნაურობას და ბევრი ამოჟლიტეს კიდეც, სახალხო გვარდია და ქართული ჯარის ნაწილები, რომელნიც უმთავრესად მუშებისა და მშრომელი ინტელიგენციიდან შესდგებოდა, თავგამეტებით იცავდენ გათამამებულ ბრბოს შესევიდან, რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, ის მთლიანათ უცხადებდა თავის გულისტკივილს უდანაშაულოდ დახოცილებს.

უნდა ითქვას, რომ თუ იყო მსხვერპლი, უფრო მეტი მსხვერპლი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო თავად-აზნაურობისაკენ მიმართული შველა, ამას უნდა დაფასება და დამახსოვრება. მართალია ბევრი შეიცვალა ახალ საქართველოში, ბევრმა ბოროტათ გამოიყენა და იყენებს კიდეც როგორც თავისუფლებას, ისე საქართველოს, მაგრამ ეს ერთი დღის ამბავია.

დღეს მანეთობით იღებენ ქრთამებს კატორღებში გადაღეული ხალხი, მექრთამეები დიდ ადმინისტრატიულ და სხვა ადგილებზეც არიან, გიორგის კავალერებიც არბევენ ქართული ჯარის ქონებას, და ყოველგვარი აჟერის კაცი გათამამდა და გამდიდრდა, მაგრამ მათი სიკეთე არავის დაეხარბება.

დამშეული ინტელიგენცია უფრთხილდება თავის სინდისს და დარბეული თავად-აზნაურობამაც, თუ უნდა ბოლომდი შეირჩინოს კეთილშობილება უნდა მოითმინოს. საქართველო გაიწმინდება ავაზაკებისგან, ეს ალბად ასე იქნება რადგან საქართველომ უნდა იცოცხლოს, დემოკრატია გამოყოფს თავის თავიდან თავდადებულ პატრიოტებს, ამაში იქვის შეტანა, იქნება საქართველოს მომავალში იქვის შეტანა.

ჩვენი დღეები პროვოკაციის დღეებია, ადვილათ შეიძლება პასუხისმგებლობის გადატანა სხვაზე და ასე ადვილი არაფერია, როგორც დაჭერილ თავადების საქმის გამოყენება, რომ ორიოდე უპასუხისმგებლო პირის მოქმედებით ბრალი მთელ წოდებას დაედოს.

ეს იქნებოდა სიგნალი სამოქალაქო ომის, რომლის შეჩერება ბოლოს ძნელი გამოდგება, და ახალ სისხლში მოსვრიდა განთავისუფლებულ ქვეყანას თანაც ადგებოდა ძველი ბრალდება სამშობლოს ღალატის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბერლინის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს არ ჩაერიოს საქართველოს შინაურ საქმეებში, კიდევ უფრო გვინდა დავრწმუნდეთ, რომ ქართველ თავად-აზნაურობის ინიციატივით არ მოხდეს ეს ჩარევა.

რაც შეეხება უკანასკნელ ინციდენტს, თუ დამტკიცდა წამოყენებული ბრალდება, ის გამოიწვევს გულისწყრომას, როგორც საზოგადოებრივი აზრის ისე თავად-აზნაურთა წრეშიც, რომელნიც უნდა დარჩენ კეთილშობილებათ და პატრიოტებათ ბოლომდის.

ტ. ტაბიძე.

სომხეთის წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში

სომხური გაზეთი: „ჟოღოვურდი ძაინი“ (№22) მთელ მეთაურს უძღვნის ამ ფრიად საყურადღებო საკითხს. გაზეთი სწერს:

„რამდენიმე დღის შემდეგ საქართველოს ეროვნულ საბჭოში სხვა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან ერთად შევლენ სომხის ერის წარმომადგენელნი. ამ სომეხთა წარმომადგენლობაში რომელიც სულ ათი კაცისაგან შესდგება, ორი დეპუტატი სომხურ სახალხო პარტიის მხრით იქნება.

ფრიად პასუხსაგებია ის საქმე რომლისთვისაც ჩვენი დელეგატები უნდა შევიდენ და დასხდენ საქართველოს პარლამენტის სკამზე. პასუხსაგებია ეს როლი არა იმიტომ, რომ სომეხთა წარმომადგენლები შესძლებენ იქ გადამწყვეტი გავლენის მოხდენას თავისი ხმებით; ამ თვალსაზრისით სომხებს საქართველოს პარლამენტში არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ. მაგრამ სომეხ დეპუტატების ყოველ ნაბიჯს, ყოველ სიტყვას დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც ერთ-ერთ ძლიერ იარაღს ჩვენი და ქართველების ურთიერთობის განვითარების საქმეში.

დღეს ჩვენ ერთგვარ ავადმყოფურ და მოშხამულ ატმოსფერაში ვცხოვრობთ.

დღეს, როცა მასას უიმისოდაც უკიდურესობისაკენ მიდრეკილება ემჩნევა, სხვა და სხვა უპასუხისმგებლო ჯგუფები სარგებლობენ სომხის ერის ეხლანდელი გაჭირვებული მდგომარეობის პირობებით და ერის სახელით თავს ესხმიან საქართველოს და მის მთავრობას. ეს გალაშქრება საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, რასაკვირველია, ხელს არ უწყობს ჩვენსა და ჩვენი მეზობლების დაახლოვებას, პირიქით, ძალას ჰმატებს ქართველი საზოგადოების უპასუხისმგებლო და შოვინისტურ ელემენტებს და ჰქმნის იმ ავათმყოფურ ატმოსფერას რომელიც ორ ერთა შორის მტრობის გასაღრმავებელ ახალ იარაღად იქცევა.

ვიღებთ რა მხედველობაში ამ მდგომარეობას, ვიმეორებთ, სომეხ დეპუტატების მოქმედება საქართველოს პარლამენტში დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები საქმეა.

სომხის დეპუტატები თავისი მოქმედებით უნდა შეეცადონ დაარწმუნონ საქართველოს სომხობა რომ სომხობის დაცვა საქართველოს სახელმწიფოებრივ ნიადაგზეა შესაძლებელი, რომ სომეხი საქართველოს სახელმწიფოს დაშლას კი არ უნდა ცდილობდეს, პირიქით, ის უნდა მიისწრაფოდეს, რომ ძლიერ საქართველოში თავისი წილი ედვას. რადგანაც თუ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო დაემხო, მისი ტერიტორია ვარდება ანარქიის წიაღში რომლისაგანაც ჩვენ არა ნაკლებ, შეიძლება უფრო მეტადაც, დავზიანდებით, ვიდრე თვით ქართველები.

ფრიად სასიამოვნოა, რომ სომხური სახალხო პარტია გვპირდება სად სასახელმწიფოებრივ ნიადაგზე დგომას და თანამშრომლობას საქართველოს პარლამენტში. უეჭველია, ასეთი ტაქტიკა სასარგებლოა როგორც საქართველოსთვის, ისე მის მოქალაქე უცხო ერთა შვილებისათვის. ჩვენ მივესალმებით პარტიის ასეთ განცხადებას და ველით მის სინამდვილედ გადაქცევას.

ბ. გრ. რცხილაძის ნაამბობიდან

„სახალხო საქმეში“ დაბეჭდილია სტამბოლის დელეგაციის წევრის ბ. გრ. რცხილაძის ნაამბობი. ბ. გრ. რცხილაძემ სამი თვე დაჰყო სტამბოლს კონფერენციის მოლოდინში. რადგან, როგორც ცნობილია, კონფერენცია აღარ შეკრებილა, ბ. დელეგატი გაზეთში გადმოსცემს არა დელეგაციის მოქმედების ანგარიშს, არამედ პირად შთაბეჭდილებებს.

მისი სიტყვით, „ოსმალეთი წინად გატაცებული იყო ეგრედ წოდებულ პანისლამიზმით. დღეს გარემოება შეიცვალა და ფეხი მოიკიდა ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში პანთურქიზმმა. ეს მიმართულება ჰფიქრობს შეაერთოს ყველა ის ადგილები, სადაც კი თურქის მოდგმის ხალხი მოსახლეობს, მათ გეგმაში შედის, სხვათა შორის, ისიც, რომ ოსმალეთის ბატონობა უნდა ვრცელდებოდეს სამხრეთ რუსეთის ნაწილზედაც—კავკასიიდან დაწყებული ყაზანამდე. ევროპა ჩვენ, აზიელებს არაფერ თვისებით არა გვჯობია. ის მხოლოდ ტეხნიკით ბატონობს, მეცნიერებით, რომლის შეთვისება ჩვენც შეგვიძლიანო.

ამ მიმართულების მომხრეა თითქმის მთელი ადერბეიჯანი. რასულ-ზადე, მაგალითად, მოითხოვს მხოლოდ რომ სრული ანექსია ადერბეიჯანისა დღეს ნუ მოხდებაო. ისე კი პანთურქულ აზრებს იზიარებს. ოსმალეთი წინააღმდეგი არაა კავკასიაში პატარ-პატარა სახელმწიფოები დაარსდეს, მაგრამ ისეთი უძლური კი, რომ მისთვის საშიში არ იყოს. იგი არც იმის წინააღმდეგია, რომ ბოლოს და ბოლოს მათი კონფერენცია შეიქმნას, რადგან დარწმუნებულია, რომ კავკასია ამნაირად ყოველ შემთხვევაში მისი გავლენის ქვეშ იქნება. ოსმალეთის საბოლოვო მიზანი კი არის ძლიერი, გაერთიანებული პანთურქული სახელმწიფოს შექმნა იმ საზღვრებით, რომელზედაც ზემოდ მოგახსენეთ.

გერმანიის ინტერესები ამას ეწინააღმდეგება. მას კერძოდ საქართველო უნდა ბაზად შორეულ აღმოსავლეთთან კავშირის დასაჭერად. აგრედვე გერმანიის მიზანი არ არის რუსეთის საბოლოვო დაშლა. აქ სდგება ბისმარკის ტრადიცია. გერმანიას გულწრფელად ჰსურს რუსეთის არსებობა და მისი მოკავშირეობა. მან საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და რუსეთიც საამისოდ აიძულა, მაგრამ ბრესტის ხელშეკრულების დამატებითი მუხლები, აქაურ გაზეთებს რომ გადმოუციათ, სრული არაა ნამდვილ ტექსტში სწერია, რომ **საქართველო უკანასკნელი სახელმწიფოა, რომლის დაარსებასაც გერმანია ხელს უწყობს.**

საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთისა და გერმანიის მიერ ოსმალეთისათვის მოულოდნელი ამბავი იყო. პრესაში გაისმა ერთნაირი მუქარაც კი და უკმაყოფილება გერმანიისადმი. უჩვენოდ რად გააკეთეთ ეგ საქმე, ოსმალეთი კიდევ ცოცხალიაო.

ოსმალეთის შინაური მდგომარეობა ვერ არის რიგზე, მაგრამ რაიმე ხალხურ მოძრაობაზე ლაპარაკი ზედმეტია. კერძოდ სომხები ძალიან დაშინებულნი არიან და დამარცხებულნი. ისინი შეჰნატრიან ბერძნებს, რომელნიც იგივე ქრისტიანები არიან, მაგრამ ომის ქარიშხალს ურეპრესიოდ გადურჩნენ. ეხლა ისინი სცდილობენ გამოჰნახონ ისეთი კომპრომისი, რომ შესაძლებელი გაჰხდეს სომხის ხალხის არსებობა და რეპრესიების შეწყვეტა.

კავკასიის ერთა დელეგაციათა შორის მჭიდრო კავშირი არ ყოფილა. პირ-იქით, თითქმის ყველანი ჩვენს წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი. სხვა ერთა დელეგაციათა შორის საქართველოს დიდი სიმპატიით ჰხვდება ბულგარეთი.

ასეთია მოკლედ ის, რაც ამ სამი თვის განმავლობაში დავინახე და გავიგე. ბოლოს, როდესაც მოხდა რატიფიკაცია გერმანიის და რუსეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დამატებითი პუნქტებისა, ჩვენ საქართველოსაკენ წამოვედით და სტამბოლში გიორგი გვაზავა დავსტოვეთ.

თბილისი.

კავკავის აღება გენ. ალექსეევის მიერ. გუშინ თბილისში ცნობა მოვიდა, გენ. ალექსეევის ჯარების მიერ ქ. კავკავის აღების შესახებ.

ოსმალები და სომხები. ერევნიდან ჩამოსულ სომეხთა სიტყვით, კარაკლისთან ოსმალები სომხებს ართმევენ ხორბალს, კარტოფილს და სხვა სანოვაგეს, რის მაგიერადაც აძლევენ ხელწერილს და ეუბნებიან, ფულს გუმბრში მიიღებთო.

პური სომხეთისათვის. გუშინ თბილისიდან გუმბრში გაემგზავრა გუმბრის ქალაქის თავი ლევან სარქისიანი, რომელმაც ადერბეიჯანში სომხეთისათვის პური შეიძინა. ამას გარდა მან ანგარიში ჩამოურთმევია საქართველოში და ადერბეიჯანში მყოფ გუმბრის ხმოსნებისათვის.

რუსების მდგომარეობა ადერბეიჯანში. რუსთა ეროვნულ საბჭოს ს. ვორონცოვკიდან (ყაზახის მაზრა), ატყობინებენ, რომ იქაურ რუსის გლეხებს ჩამოართვეს ხნულები, ყანები და კარტოფილი.

საგანგებო რაზმი და რუსთა ეროვნული საბჭო. ქაღალდის საწყობის და საწერ-საგნების პატრონმა გაიდამაკინმა რუსთა ეროვნულ საბჭოს განუცხადა, რომ ენკენისთვის 24, საგანგებო რაზმის წევრებმა მას ქაღალდი ჩამოართვეს და დღემდე მის ღირებულებას არ აძლევენ. რუსთა ეროვნულმა საბჭომ შესაფერი თხოვნით მიჰმართა შინაგან საქმეთა მინისტრს.

სახაზინო გზათა უფროსი შუამდგომლობს გზათა მიმოსვლის მინისტრის წინაშე, რომ 500,000 მანეთი გადასდოს მის განკარგულებაში უკვე ნაყიდი და დაკვეთილ შეშის შესაძენად. როგორც ვიცით, ბოლო დროს ორთქლმავლებს შეშით ახურებენ და თუ ფული ფროზე არ გადასდეს, მოძრაობა რკინის გზებზე შესწყდება.

ცენტრალ სააღგილმამულო გამგეობის თავმჯდომარე ა. ქ. როლოვი თანახმად თხოვნისა თანამდებობიდან გადააყენეს. მის ადგილზე დროებით დაინიშნა მიწადმოქმედების მინისტრის საბჭოს წევრი თ. ა. შიმანსკი.

დაპატიმრება. ერევნის მოედანზე გუშინ შუადღისას სახალხო სასამართლოს მილიციამ დააპატიმრა ნ. გოდანჯიანცი და მისი შვილი არუთიუნი, რომელნიც რუსეთში მიმავალთ რუსულ ფულებს ჰყიდნენ. მას ზედ აღმოაჩნდა 20,000 მან რუსული ფული.

ქუთაისი.

ყაჩაღების თავდასხმა. ენკენისთვის 30 საქართველოს რკინის გზის ტყიბულის შტოზე სადგურ „მინერალურ წყლებზე“ 4 შეიარაღებული ყაჩაღი მორჩაძის მეთაურობით თავს დაეცა მატარებელს, კომისარს და რამდენიმე მილიციელს იარაღი აჰყარეს. მოხსნეს მატარებელს ორთქლმავალი და 1 ღია ვაგონი. მოხსნილი ვაგონი ჩაუბეს ორთქლმავალს და ტყიბულისკენ გაემგზავრნენ.

საქართველოს ელჩი რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან

თბილისში დაბრუნდა საქართველოს ელჩი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან ბატ. გაბ. ხუნდაძე. ბ. ხუნდაძეს გზაში გაუგია რუსეთის და გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება და კვლავ თბილისში დაბრუნებულა, რათა საქართველოს მთავრობისაგან დამატებითი ინსტრუქციები მიიღოს და თავისმ მანდატებიც უფლება მოსილ ელჩის რწმუნებაზედ შესცვალოს. დღეს იგი ფოთში მიდის, საიდანაც გემით რუსეთისკენ გაემგზავრება.

ქართული ლატარია

ლატარიისბილეთების ქუჩებში საჯარო გაყიდვისაგან შემოვიდა 100,000 მანეთზე მეტი.

— დღემდე გაყიდულია სულ 1,000,000 მანეთის ბილეთები.

— ლატარიის კომიტეტს გამგეობას გადაუწყვეტია მოაწყოს ბილეთების გაყიდვა დაწესებულებებსა და მაღაზიებში.

— მომავალ კვირისთვის გამგეობა ქუთაისში მიემგზავრება.

სპეკულიანტთა ჯგუფის დაპატიმრება

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულმა რაზმმა აღმოაჩინა სპეკულიანტთა ბრბო. დატუსაღებულ იქმნენ: ა. სეილანოვი, ს. ქ. რაიგულოვი, ს. გირინოვი, ს. სილიაბინსკი მ. რადლინი, ს. პოლაკი, კაპ. ე. პოკონინი, პოდპ. ი. ლეონიძე, ვლ. ილვაჩი. გაჩხრეკის დროს მათ აღმოაჩნდათ საგულისხმიერო საბუთები. გამოძიება სწარმოებს.

ქალაქის საბჭო და საგანგებო რაზმი.

ენკენისთვის 30, დიდი კამათის შემდეგ ქალაქის საბჭომ ესერები შემდეგი წინადადება მიიღო: მოისმინა რა საბჭომ მოხსენება განსაკუთრებულ რაზმის მოქმედების შესახებ სცნო, რომ მისი მოქმედება თავისუფლების შემარყეველია,—დაადგინა: არას გზით მილიციამ ხელი არ შეუწყოს რაზმის მოქმედებას და წინადადება მისცეს გამგეობას, რომ მილიციის უფროსის ბრძანება, რომ მილიცია საგანგებო რაზმს დახმარებას უწევდეს, შეცვლილ იქნეს.

ბაქო

ადერბეიჯანის მთავრობა

ადერბეიჯანის მთავრობა ამ ჟამად ბაქოში იმყოფება, მაგრამ არავითარ უფლებით არ სარგებლობს.

ბაქო-თბილისის გზა

ბაქო-თბილისის გზა გაიწმინდა გერმანელ ჯარების მოლოდინში. გზა ამ ჟამად აღდგენილია, გერმანელი ეშელონებიც გაემართნენ ბაქოსკენ.

ჩიჩერინის ნოტა ბაქოს შესახებ

ოსმალთა შესვლამდე ბაქოში, ჩიჩერინმა „პრიზ. კრ.“-ის სიტყვით გერმანეთს ნოტა წარუდგინა, რომლითაც მოითხოვდა ოსმალთა შეტევის შეჩერებას.

ოსმალეთის ჯარები

ოსმალეთის ჯარები წამოვიდნენ დაღესტნისკენ. როგორც ხმებია, პეტროვსკთან ომი გააჩაღეს ინგლისელებთანო.

ხმები ინგლისელთა შესახებ მართალი არ არის

თბილისში გავრცელებული ხმები, რომ ინგლისელებმა დესანტი გადმოსხეს ალიათში, პროფესორ ცუგმაიერის ცნობით, სიმართლეს მოკლებულია. გუშინ თბილისში ჩამოვიდა გერმანელი აფიცერი, რომლის სიტყვით ქალაქში სრული სიწყნარეა და არავითარი ცნობები არ მოსულა ინგლისთა დესანტის შესახებ.

თურქული გაზეთი ბაქოში

ბაქოში ამ დღეებში გამოვა თურქული გაზეთი „გჰაათ“ (ცხოვრება“) რედაქტორად მიწვეულია ექ. ყარაბეი ყარბეგოვი. იგივე ჰრედაქტორობს გაზ. „კასპის“, რომლის გამოცემაც განახლდა ბაქოს აღების შემდეგ.

თაგიევის სტამბა

გაზ. „კასპის“ სტამბა, რომელიც თაგიევს ეკუთვნოდა ადერბეიჯანის მთავრობის საკუთრებად გადავიდა.

სტუდენტები ჯარში

სტუდენტებმა და საერთოდ მოსწავლე ახალგაზრდებმა დიდი როლი ითამაშეს რეგულიალურ ჯარის შექმნაში. იყო დრო, როდესაც გაბოლშევიკებული და გათავხედებული ჯარისკაცები ქართულ ეროვნულ პოლკებში ანიავებდნენ პოლკის ქონებას და მხოლოდ იმისთვის რჩებოდნენ პოლკებში, რომ ცეიხჰაუზებიდან გატანილი სამოსი და მრავლად მიღებული სურსათ-სანოვაგე გაეყიდნათ ხოლმე. ამნაირად ჯარში ყოფნა მაშინ სარფიანი სამსახური იყო. ამას გარდა: მაშინ სხვა და სხვა კომიტეტების და საბჭოების ძალოვანობის გამო ჯარის-კაცის პიროვნება ხელშეუხებელი, მიუკარებელი და მაშასადამე, ყოველგვარ სასჯელსა და პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი იყო.

1917 წლის ზამთარში სწორედ ამ მდგომარეობაში იყო ჩვენი სამხედრო „ძალები“, როდესაც ქართველ მოსწავლე ახალგაზდათა შორის გაისმა ურთიერთისადმი მოწოდება ჯარში შესვლისთვის. დაიწყო დენა ყაზარმებისაკენ ლურჯ-ქუდებიან და ნაცრისფერ ხალათიან ახალგაზდობამ, სადაც ისინი წიგნების მაგივრად ხელში თოფსა და ცხენის საბურველს ღებულობდნენ.

ჯარში შესულმა ახალგაზდობამ მალე და ადვილად შეითვისა სამხედრო ხელოვნება და სულ ერთ თვეში უკვე საგრძნობ ძალას წარმოადგენდა და სწორედ ეს „ჟორჟიკები“ იყვნენ, როგორც მათ ძველი ჯარისკაცები ეძახდნენ, რომ მთელ ბრბოებს აყრევინებდნენ იარაღს, ხოლო ანარქიასთან და ბოლშევიკებთან ბრძოლაში ხომ ამ ახალგაზდათაგან შემდგარმა არტილერიამ ძველი ჯარის მწყობრი და მტკიცე მოქმედება გაახსენა მეამბოხეთ და ძალა აგრძნობინა.

დღეს ჩვენი ეროვნული ჯარის შექმნა-შედგენა მეორე ხანაში გადავიდა, როდესაც ჯარში უკვე მობილიზაციით არის გაწვეული ახალგაზდობა და სდგება ჩვეულებრივი კადრი, რომელშიაც საკმაოდ არის სამსახურში წარმატებული ჯარისკაცები და უნტერაფიცრებიც.

მაშასადამე უნდა დამყარდეს ნორმალური პირობები და უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი სტუდენტები განთავისუფლდნენ ჯარიდან, რათა ნებაყოფლობით მოიხადოს რა სამოქალაქო მოვალეობა ფრიად გაჭირვებულ და მძიმე ხანაში, შესძლონ მათ შეიძინონ შესაფერი ცოდნა სახელმწიფო სამსახურისათვის მომავალში, როგორც ინტელიგენტმა ძალებმა, უფრო შესაფერ სარბიელზე, ვიდრე დაბალი სამხედრო სამსახურია, როგორც ეს ყველა ქვეყნებშია.

შ. თუხალი.

ბულგარეთის ამბები

(დეპეშები)

ინგლისის პრესის ცნობა, 29 ენკენისთვე. ბულგარეთის სამშვიდობო წინადადებამ, ბერნიდან მოსულ ცნობის თანახმად, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შვეიცარიაში. ყველა გაზეთები აღნიშნავენ ამ ფაქტის დიდმნიშვნელობას. გაზ. „ცაციონალ ცაიტ“., რომელიც ბაზელში გამოდის აღნიშნავს ბულგარეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯის დიდმნიშვნელობას და ამ ფაქტს ისეთსავე მნიშვნელობას აძლევს, როგორც მარნის მეორე დიდს ბრძოლებს. გაზეთის აზრით, ბულგარელები არამც თუ დამარცხდნენ, არამედ ამ ჟამად ლაშქრის ძლიერი დაღლილობის გამო სრულიად დაჰკარგეს თავდაცვის საშუალებაც კი. წმინდა სამხედრო ხასიათის დამარცხება შესაძლებელია როგორმე გამოკეთებულიყო, მაგრამ როგორც სჩანს ბულგარეთში შეუძლებელია აღდგენილ იქმნას ბულგარელებში (ხალხში) ბრძოლის უნარი და სურვილი ომის განგრძობისა. შესაძლებელია მეფე და ის მცირე რიცხვი გენერლებისა, რომელნიც მხოლოდ და წარმოადგენენ ბულგარეთის გერმანოფილთა რიცხვს, კიდევაც შეეცადნენ კრების გაგრძელებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც მართალია, რომ ლაშქარს არა ჰსურს ბრძოლა ისე, როგორც არა ჰსურს თვითონ ხალხს. მალინოვს, რომელსაც ერი ნდობით უყურებდა, მოუნდა ბულგარეთის ვენიზელოსის როლის შესრულება. ალბად ის უფრო გაძლიერდება კობურგის პრინცზე, რომელმაც ბულგარეთი ჩაითრია ასეთ კატასტროფაში. გაზეთი ჰსინჯავს ამ ღალატის ეკონომიური და სამხედრო შედეგებს ცენტრალ სახელმწიფოთათვის, რომელნიც მოკლებულ იქნებიან დუნაით ტვირთის მიმოზიდვას და ეს მაშინ, როცა ფრანგების ასპარეზი მოითხოვს მთელი ძალის იქითკენ გადაყვანას. გაზეთის ფიქრით ეს არის დისლოკაცია ომისა. მისი აზრით გერმანეთი ველარ გამოასწორებს შექმნილ მდგომარეობას. იძულებულია გაგზავნოს ჯარი დასავლეთის ასპარეზზე, ველარ გამოჰგზავნის ძალებს ბალკანეთზე. აღმოსავლეთიდან გერმანეთმა იმდენი ჯარი წამოიყვანა, რიმდენიც შეეძლო. მან უნდა ავსტრია-ჰუნგრეთს მიჰმართოს. მაგრამ მოინდომებს იგი საკუთარ ძალით იტალიის ასპარეზის შესუსტებას?

მოსკოვი. მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე კამენევმა შემდეგი წერილით მიმართა მოსკოვის მუშებს: „შიმშილმა, დამარცხებამ, ლაშქრის დაშლამ და ხალხის ამბოხებამ აიძულა ბულგარეთის მთავრობა ზავისთვის მიემართა. როგორც ყველგან, ბულგარელები ძალაუნებურად არიან ჩაბმულნი ომში, რომელნიც მათ ანადგურებს და ჰსწყვეტავს. სისხლში გაბანილი ბულგარეთის მთავრობა ცდილობდა შეექმნა დიდი ბულგარეთი, რომელიც იუფლებდა მთელ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე. მოტყუებულმა, გაშიშვლებულმა ბულგარეთის ხალხმა ველარ გაუძლო იმპერიალისტურ ომს. მას ჰსწყურია ზავი. ბულგარეთის ერი ჰსდგავს პირველ ნაბიჯებს. იმპერიალისტური კავშირები ირღვევა. მშრომელთა კავშირი იზრდება და ფართოვდება. ახლოა დრო, როცა იმპერიალისტების კავშირის ნანგრევებზე იფეთქებს ცეცხლი მსოფლიო პროლეტარიატის ამბოხებისა, ომის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. წყნარად ვიდგეთ ჩვენს საყარაულოზე. ისტორია ჩვენსკენ არის. ახლა თავდება იმპერიალისტური ომი. ომი ჰკვდება. რევოლიუცია მიჰყვება მის კვალს“.

ც. აღმ. კომ. ბეჭვდითი ბიუროს ცნობა.

მოსკოვი. ენკენისთვს 29. ბერლინი. დღეს, გერმანეთის პარლამენტარულ წრეებში ხმა გავრცელდა, რომ ბულგარეთში თავი იჩინა ჯარისკაცთა რევოლუციამ. ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ წინადადება მისცა მეფე ფერდინანდს ჩამოსულიყო ტახტიდან, რის გამოც იგი ამ ჟამად უნგრეთში იმყოფება. ბერლინის ბირჟაზე ბულგარეთის რევოლუციის ამბავმა შიშის ზარი გამოიწვია. აქციები 60 პრ. დაეცა. ბერლინში ჩამოვიდნენ ჰინდენბურგი და ლიუდენდორფი. ელიან იმპერატორ ვილჰელმს.

სოფია. მთავრობის ცნობა. მთავრობამ მმართველობით ბლოკთან შეთანხმებით, ენკენისთვის 21-ს ოფიციალურად საზავო წინადადება წარუყენა მოპირდაპირეს. ბულგარეთის საზავო დელეგაციის წევრები გუშინ საღამოს გავიდნენ სტრუმიში მოკავშირეთა რწმუნებულთან ერთად. ბლოკმა ლაშქრისთვის მოწოდება გამოსცა სამხედრო და სამოქალაქო წეს-რიგისთვის.

ბერლინი. რაიხსტაგის მთავარ კომისიის სხდომაზე გიტცემ განაცხადა, რომ ბულგარეთის მდგომარეობა სერიოზულია. იმედი მხოლოდ ბულგარეთის მთავრობისგან არის. დიდი იმედია ბულგარეთში გაგზავნილ გერმანულ ჯარისა წესიერების აღსადგენად. ბულგარეთის გამოსვლა კავშირიდან ჯერ არ არის კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი.

მოსკოვი. საბჭოთა წრეებში ჰფიქრობენ, ბულგარეთის მთავრობა შეეჯახა ხალხის აზრს, რომ ის გერმანეთისთვის იბრძვის. თუ ბულგარეთი გავიდა ოთხთა კავშირიდან მაშინ ან უნდა ოსმალები წავიდნენ ან განადგურდნენ გერმანეთისგან ჩამოშორების გამო.

პროფესორ ცუგმაიერის აზრი.

გერმანიის სამხედრო დელეგაციის საინფორმაციო ბიუროს გამგე პროფ. ცუგმაიერმა ბულგარეთის დღევანდელ

მდგომარეობის შესახებ ჩვენ თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

მეფე ფერდინანდი უნგრეთიდან დაბრუნდა და ამ ჟამად ქ. სოფიაში იმყოფება. ენკენისთვის 30-ს მისი თავმჯდომარეობით გაიხსნა პარლამენტი, რომელიც იმედია დაჰგმობს პრემიერ მინისტრის მალინოვის საქციელს. მოსალოდნელია მალინოვის კაბინეტის გადადგომა, რადგანაც მეფე და ხალხის უმეტესობა მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს არ იზიარებს. ბულგარეთში არავითარი ჯარის კაცთა საბჭოები და რევოლუცია არ არის. გერმანია-ავსტრიელთა ჯარი უკვე ჩავიდა ბულგარეთში, ზურგს უმაგრებს ბულგარეთის ჯარს და ბრძოლაში მონაწილეობას იღებს მოკავშირეთა ჯარის წინააღმდეგ.

უცხოეთის ამბები

ბულგარეთი

მალინოვის განცხადება

ბულგარელ პრემიერ მალინოვმა განაცხადა: „გამოგიტყდებით, რომ დიპლომატებმა საბოლოოდ ვერ გადასწყვიტეს დობრუჯის საკითხი. ამ ოლქზე დაწესებული კონდომინიუმი დიპლომატიური შეცდომაა და ჰღუპავს ბულგარეთის ხალხს როგორც ფრონტზე ისე შინ. ვიმედოვნებ, რომ დიპლომატია გამოასწორებს შეცდომას და ბულგარეთის ერისთვის ღირსეულ გამოსავალს იპოვის. ჩვენგან კომპენსაციას მოითხოვენ დობრუჯის ნაცვლად. მაგრამ ბულგარეთმა დღემდე იმდენი მსხვერპლი მიიტანა, რომ უსამართლო იქნებოდა მისგან მეტის მოთხოვნა. რაც შეეხება მარიპის საკითხს ჩვენგან ის გადაჭრილია 1915 წელს და ახლა ზედმეტია მაზედ ლაპარაკი.

უმაღლეს თანამდებობის პირთა გასამართლება

სოფიის სამხედრო სასამართლომ გამართა დიდი პროცესი სამ. სამინისტროს სასურსათო უწყების უფროსის გენ. მარკოვის, სახელმწიფო კონტროლიორის მატეევის, ბულგარეთის ელჩის რაჩო პასეევის და ცენზორ ტოდოსიევისა, რომელთაც ჰბრალდებათ ქურდობა და სიყალბე.

სასამართლოში მოწმად გამოვიდა ყოფილი პრემიერი რადოსლავოვი. გენ. მარკოვს მიესაჯა 5 წლით ციხე და პოლიტიკურ უფლებათა აყრა. მას ბრალდება ბოროტმოქმედება ბულგარეთის ლაშქრის სურსათის საქმეებში. ტოდოროვს ორი წლით ციხე ამავე საქმეში ქრთამის აღებისთვის. დანარჩენი ბრალდებულნი გაამართლეს. სოფიის ქალაქის უფროსი რადეევი ჩასვეს უბრალო სისხლის სასამართლოს სატუსაღოში შაქრის ქურდობისთვის. რადეევი თხოულობდა რომ ის ჩაესვათ პოლიტიკურ დამნაშავეთა ციხეში, მაგრამ მისი მუდარა არ შეისმინეს. როდესაც რადეევი ციხეში მიიყვანეს, ტუსაღებმა მარილი და შაქარი მიართვეს. თვით სისხლის სამართლის დამნაშავენი მოითხოვენ, რომ რადეევი მოეთავსებინათ ცალკე კამერაში, რადგანაც მან ავადმყოფთა და ბავშების შაქარი მოიპარა.

რუსეთი

ციმბირის სალაშქრო ორგანიზაცია.

ციმბირის მთავრობას გადაუწყვეტია, შექმნას ძლიერი, გაწვრთნილი ჯარი. სამხედრო მინისტრმა გრიშინ-ალმაზოვმა განაცხადა: მხოლოდ ძლიერი ლაშქრის შემწეობით შევიძლია ველირსოთ დამფუძნებელ კრებას. ლაშქარი შეიქნება ისეთი ტიპის, როგორიც ყველა ქვეყნებში და ყოველ დროს ყოფილა და არის. ლაშქარში არავითარი ადგილი არ ექნება საბჭოებს, ყრილობებს, ხმის მიცემას, ბატონობას. ყოველივე ეს უნდა მოისპოს, რადგანაც ჰხრწნის ისედაც გახრწნილ, ავადმყოფ ორგანიზმს.

პოლიტიკური პატიმარნი.

ხარკოვში დააპატიმრეს ქალაქის თვითმმართველობის წევრები: ი. სვეტლოვი, ი. ივანიცკი; ხმოსნები: ბონდარენკო, მხეიძე და სხვა.

უკრაინაში

ჩინელები უკრაინის ასპარეზზე.

უკრაინის საბჭომ მიიღო ცნობა, რომ ბალუსიედან 18 ვერსის დაშორებით გამოჩნდა ჩინელებისაგან შემდგარი ბოლშევიკთა რაზმები. მათი თარეში მეტად მკაცრი და კადნიერია. კერძო ცნობებით, ეს რაზმები მოსულა ტამბოვიდან, სადაც სდგას ჩინელთა პოლკი.

(დეპეშები)

ციმბირი

პერმი. უფის მუშებმა თვისი მენშევიკური შეხედულებანი შეიცვალეს. ახლო მომავალში სამხედრო ცვლილება მოსალოდნელი. ვაჭარ-მრეწველები აშკარად მოქმედობენ. მათ ხელმძღვანელობს სინოდის ყოფილი ობერ-პროკურორი თავადი ლვოვი. ისინი სამხედრო დიქტატურას მოითხოვენ.

სოციალ-იმპერიალისტები იტალიაში

ბერნი. იტალიაში ჩამოვიდა ამერიკელი სოციალ-იმპერიალისტების დელეგაცია, რომელიც ხალხს მოუწოდებს ომისკენ. მუშები მტრულად შეხვდნენ. იტალიის ცენზურამ ამ საქმეზე წერაც კი აღკრძალა.

ომი

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი, ენკენისთვის 30. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. კრონპრინცის რუპრეხტის და ბოინას ლაშქარი. მოწინააღმდეგე განაგრძობს იერიშებს ფლანდრიაში. 26 ენკენისთვეს რომ მტერი ჩვენს სანგრებში შემოიჭრა, ამან გვაიძულა ჩვენ მარჯვენა ნაწილი ჯარისა ხანძეიმის სექტორის უკან დიუსმუდეს ჩრდილოეთით რომ იყო დაბანაკებული უკან დაგვეხია. ბრძოლის ველის მარცხენა მხარეს მტრის იერიშები, მიმართული ხანძეისის სექტორის და პარრენ-ვესტროზებეკის ხაზის წინააღმდეგ მოვიგერიეთ. პაშენდალესა და ბესელენრის შუა მტერმა მორსლედესა და დადეზელესკენ წინ წამოიწია. აქ ჩვენ შევაჩერეთ მისი ძლიერი იერიში, მტერი, რომელმაც დილა ადრიან ხუტემის მხრით გაარღვია ჩვენი ხაზი, უკუ ვაქციეთ ჩვენი კონტრ-იერიშებით. აქ ჩვენ ვაწარმოებთ დიდს ბრძოლას დისსის ველებში. მკაცრი შეტაკებაა კამბრეს და სენ-კანტენის შუა. მოწინააღმდეგის მხრივ ამ ბრძოლაში ქალაქის წინააღმდეგ მონაწილეობას იღებდა 16 დივიზია ქალაქის ორივ მხრივ და კამბრეს აღებას ჰლამობდა. აქ მან ქალაქის ორივ მხარეს გაარღვია ჩვენი ბრძოლის ხაზი. მტერმა 8-ჯერ განიმეორა ერთი-მეორეზე უფრო მკაცრი შეტევანი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ტილლუას ახლოს ჩვენი ჯარი ჩვენთვის ხელსაყრელ კონტრ-იერიშებს აწარმოებს. კამბრეს მიდამოებში და აგრეთვე პერვილის და კანტემირის გარშემო მტერი დამკვიდრდა. აქ ჩვენ ხელთ არის ქალაქის დასავლეთი ნაწილი შელდის უკან და მტრის თავგანწირულ იერიშებს ვიგერიებთ. მარკუანის სამხრეთით მტერმა ჩვენი ჯარი უკან დასწია მენსიერ-კრევკეკურის არხის გადაღმა. მტერი კვლავ განაგრძობს იერიშებს ჰანნელსა და ბელლიკურტთან. ვილლერ გიუსლენი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად დავკარგეთ, დღეს უკვე უკან დავიბრუნეთ. გუშინდელ ძლიერ ბრძოლებში, რომელიც საერთოდ ჩვენთვის ხელსაყრელად დამთავრდნენ, მონაწილეობას იღებდნენ გერმანეთის ჯარების ყველა ნაწილები. ინგლისელებს თავის მცირე გამარჯვება, რომელთაც მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი ჰქონდათ, მეტად ძვირად დაუჯდათ.

ბერლინი. ენკენ. 30. (გაგრძელება). მტერი განაგრძობს იერიშებს უაზისა და ენსის არხზე. აქ ჩვენ მოწინავე რაზმების შეტაკების დროს ხელთ ვიგდეთ ტყვეები. ფრანგები სიუიპისა და ენს შუა და ამერიკელები არგენსა და მეუზეს ფერდობებზე განაგრძობენ მკაცრ იერიშებს. მტერმა ბრძოლაში ახალი ჯარი ჩარია. რბერიფსა და სომშიპის შუა ჩვენ მოვიგერიეთ რამდენიმე (9) მკაცრი და თავგანწირული იერიშები მტრისა. ამ იერიშების ზოგიერთების შემდეგ ჩვენი ბრძოლის ხაზი შეიცვალა; საღამოთი ჩვენი ხაზი ასეთი იყო: ეირ-არბეილი, სეშოლტის ჩრდილოეთით და ბუკომფილ. ამერიკელებიც იერიშებს განაგრძობდნენ ჩვენს სიმაგრეების წინააღმდეგ არგონის ტყის აღმოსავლეთ ნაწილთან. მათი იერიშები სრული მარცხით დამთავრდა. ეიერის მდელოს ორივე მხარეს ჩვენ წავართვით მტერს აპრემონი და მონტრებოს ტყე და ამერიკელები ერთის კილომეტრის მანძილზე უკუ ვაგდეთ.

გუშინ ჩვენმა მფრინავებმა მტრის 45 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

ბერლინი. ენკენისთვის 30. საღამოს ცნობა. ფლანდრიაში საერთოდ დღემ მშვიდად ჩაიარა. განახლებული შეტევანი ინგლისელებისა კამბრეს ორივე მხრივ უნაყოფოდ ჩაიარა და მტერს მეტად ძვირად დაუჯდა. საღამოთი ლეკატელეს დასავლეთით ბრძოლა განცხოველდა. შამპანში ფრანგები კერძო ხასიათის ბრძოლებს აწარმოებენ. არგონის აღმოსავლეთით ჩვენ მოვიგერიეთ ამერიკელების ძლიერი იერიშები.

ბერლინი. ენკენ. 29. დასავლეთის ასპარეზი. ინგლისელებმა ბელგიელებთან ერთად გააფართოვეს შეტევათა ასპარეზი ფლანდრიამდე და განავრცეს კამბრეიმდე. ფრანგ-ამერიკელები ახალი იერიშებით გადავიდნენ შამპანეზში, აგრეთვე აგონებისა და მეუზის შუა.

კრონ-პრინცის რუპრეხტის ლაშქარი. ზღვის ნაპირიდან ლისის სამხრეთ-ადგილამდე მთელი ღამის განმავლობაში ცხარე ბრძოლა იყო, რომელიც გასასტიკდა განთიადისას დიქსმიუდესა და ვულვერჟენის შუა. ბრძოლამ საალყო ხასიათი მიიღო. ინგლისელებმა და ბელგიელებმა დიქსმიუდეს სამხრეთით ვულვერჟენამდე ცხარე იერიშები მიიტანეს. მტერი ნაწილობრივ შემოიჭრა ჩვენს საარტილერიო ხაზებში. შუადღის შემდეგ მტრის იერიშები გაცხოველდა დიქსმიუდესა, პლერკენის და ხუტულტის სამხრეთით (დაშავებულია), მარქაფა ჯარმა იერიშები მოიგერია. ვიტშატეს მაღლობები შეგვრჩა, მიუხედავად მტრის მიერ განმეორებულ იერიშებისა კამბრეს დასავლეთით, არლე-ობინის ხაზით გატორეს დასავლეთით, ვილლერ-გიუსლენის ახლოს ჩვენი ასპარეზი უკან დავწიეთ. ჩვენ გადასვლაზე მტერს კრინტიც რა დაუძრავს. მხოლოდ განთიადისას ჩვენგან დაცლილ ტერიტორიას სროლა დაუწყო. შუადღისას მტერმა სასტიკი იერიშები მოიტანა კამბრეს ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით. იერიში მოვიგერიეთ. ასევე შევაჩერეთ მარკუანის სამხრეთით მოტანილი იერიშები.

გერმანეთის კრონპრინცის ლაშქარი ელესის და ენის შუა ჩვენი ხაზები უკან დავწიეთ, უზუ-ენის არხის უკან ანიზი-დე-მატოს შუა. სნიპომის და ენის შუა, აგრეთვე არგონების და მეუზის შორის მოპირდაპირე სასტიკ იერიშებს აწარმოებდა. მტერმა დიდათ იზარალა. ჩვენი ლაშქარი ბრწყინვალედ იბრძოდა და საქმეც მარჯვედ შეასრულა. ტანკებით შეიარაღებული ფრანგები უკუ ვაქციეთ. გამარჯვება გამოიხატებოდა სომპის აღებაში და ჩვენ საალყო ადგილების შემოჭრაში.

არგონებში ჩვენი ასპარეზი აპრემონის სამხრეთ-დასავლეთით გადავიტანეთ. ამერიკელებმა სასტიკი იერიშები მიიტანეს აპრემონ-სიერჟის და ბრიელის ხაზების წინააღმდეგ. აპრემონის ახლოს მათ გაიმარჯვეს და ჩვენი ასპარეზი კუმელის და ფეინის ტყეებისკენ დასწიეს. აქ მტერი საშინლად დამარცხდა, ჩვენი საჰაერო ესკადრონები მარჯვედ ჰმოქმედობდნენ. გუშინდელ ბრძოლაში მტრის 150 ტანკა გავანადგურეთ. ჩამოვაგდეთ მტრის 33 ჰაეროპლანი და 3 მიბმული საჰაერო ბალონა.

ბერლინი. ენკენისთვის 29. საღამოს სამხედრო ცნობა. იპრის აღმოსავლეთით დიდი ბრძოლებია. კამბრეს და სენ-კანტენს შუაც ბრძოლა გაძლიერდა. ინგლისელთა შეტევამ მთელ ასპარეზზე მიზანს ვერ მიახწია. შამპანეზში, არგონების და მეუზის შუაც ფრანგ-ინგლისელთა ცხარე იერიშები მოვიგერიეთ, მხოლოდ არდელის ორივ მხარეს ალაგ-ალაგ მტერი შემოგვეჭრა.

კოპენჰაგენი. პრუსიის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა რეიხსტაგის მთავარ კომისიის ფარულ სხდომაზე განაცხადა, რომ გერმანეთის ლაშქარმა 15 მარტიდან 15 თიბათვემდე დაჰკარგა 500.000 კაცი. (მოკლული, დაჭრილი და ტყვე) 15 მკათათვიდან 15 ენკენისთვემდე უკან დახევისას გერმანეთს მოაკლდა 45.000 (მოკლული) 155.000 (დაჭრილი) და 50.000 (ტყვე).

საუბარი პროფ. ცუმაიერთან

გუშინ გერმანიის სამხედრო დელეგაციის საინფორმაციო ბიუროს გამგემ ჩვენ თანამშრომელს შემდეგი განუცხადა:

ქართველი ტყვეების ჩამოსვლა

ამ ჟამად ბუქარესტში იმყოფება გერმანიიდან წამოსული 19 ოფიცერი და 148 ჯარისკაცი ტყვე-ქართველი, რომელნიც ამ დღეებში თბილისში ჩამოვლენ.

ხმები ბაქოს გზის შეწყვეტაზე

გავრცელებული ხმები, ვითომ სად. ალიატთან ინგლისელებს დესანტი გადმოესხათ და რკინის გზის ლიანდაგი გადაეჭრათ მტკნარი სიცრუეა და არაფერი ამის მაგვარი არ მომხდარა.

არ შეეფერება სინამდვილეს აგრეთვე ის ხმები, ვითომც ბაქოს გზაზე გერმანელებსა და ოსმალებს შორის უთანხმოება ყოფილიყო.

ნამდვილად საქმის მდგომარეობა ასეთია:

განჯასთან ადგილობრივი თათრები ოსმალებს აუჯანყდნენ და შამქორთან ლიანდაგი აჰყარეს, რის გამოც 1 დღე და ღამე მოძრაობა შეწყვეტილი იყო. ამ ჟამად ლიანდაგი აღდგენილია და მიმოსვლაც განახლდა. პოლკოვნიკი ფონ-დერ-ჰოლცი უკვე ჩავიდა ბაქოში გერმანელებით.

ორშაბათს დილით თბილისში ჩამოვიდა პირდაპირ ბაქოდან წამოსული მატარებელი, რომელიც გზაში 36 საათი იყო.

ბაქო

ბაქოდან ჩამოსულ გერმანელ ოფიცრის სიტყვით იქ ამ ჟამად სრული სიწყნარეა. მხოლოდ სავაჭროები ჯერ ისევ დაკეტილია და ქალაქში ცხოვრება ჯერ არ გაცხოველებულა.

გზა რუსეთისკენ

ასტრახანსა და ბაქოს შორის გზა ჯერ აღდგენილი არ არის.

აფხაზეთისა და ჯიქეთის საკითხი

ყოველ მცირეოდენად მაინც ხალხის საკეთილოდ მოწყობილ სახელმწიფოში, პარლამენტის წინაშე პასუხისმგები—ქვეყნის გამგენი ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რა იწერება გაზეთებში სხვადასხვა კუთხის მდგომარეობის შესახებ. მართალია, ჩვენს მინისტრებს ბევრი საქმეები აქვთ და ყველა ჩვენებური გაზეთების წასაკითხავად დრო არ ჰყოფნით, მაგრამ ამისათვის შემოღებულია წესი: ცოტაოდენად მაინც საყურადღებო ცნობებს, მით უმეტეს, მთავრობის პოლიტიკის შესახებ, განსაკუთრებულად დანიშნული მოხელე წითელ ხაზს გაუსვამს და ყოველ დღე იმ მინისტრს მიაწოდებს, რომელსაც ეხება გაზეთში მოთავსებული ცნობა.

ამას წინედ, აგვისტოს პირველ რიცხვებში, „საქართველო“-ში შეკითხვის სახით მოხსენებული მქონდა რამოდენიმე ბრალდებანი! ვამტკიცებდი, რომ დღემდის ზღვის ნაპირა ადგილები არ არის დაცული; პირველ ყოვლისა „დესანტ“-ის მოსალოდნელობა ოფიციალური მოხსენებით ვამცნე მთავრობას ორი თვის წინეთ, მაგრამ არავის ყურადღება არ მიუქცევია; აგვისტოშიაც ვსწერდი, რომ იმ ადგილას მაინც, სადაც პირველი დესანტი იყო გადმოსხმული ათი დამცველი ჯარისკაცი ჩაეყენებინათ.

როგორც მკითხველებმა იციან აგვისტოს შემდეგ თანდათანობით, ნაწილ-ნაწილად თითქმის ყოველდღე ფილუკებით მოდიოდნენ ოსმალეთიდან შეიარაღებული თათრები და ენკენისთვის პირველ რიცხვებში ჩვენს ჯარს დიდი შეტაკება მოუხდა მტრის საგრძნობელ რაზმებთან კოდორის ნაწილში. ნუ-თუ შესაძლებელია პარლამენტალურ სახელმწიფოში ასეთი უყურადღებობა არსებითად მნიშვნელოვან საქმისადმი? კოდორის შეტაკებამ დიდი ზიანი მოგვიტანა როგორც მატერიალურად ფიზიკურად (ბევრი ახალგაზდა მეომრები იმსხვერპლა) ისე ზნეობრივადაც: შეტაკების დროს ჩვენი ჯარის სიმცირის გამო იძულებული შევიქენით ყაზახები დაგვეხმარებია, რომ არ დავმარცხებულიყავით. ყაზახებმა კი თავის ჩვეულებისამებრ ძარცვა-გლეჯას და ბინადრობის დაწვა-აოხრებას მიჰყვენ ხელი.

ამავე დროს აფხაზთა საბჭოს შემადგენლობაში ქ. სოხუმში პატარა რევოლიუცია მოხდა, საბჭოს მემარცხენე ნაწილმა, რომელიც ვითომდა ჩვენი მთავრობის მომხრეებათ ითვლებიან, მეორე ნაწილი საბჭოს წევრებისა განდევნა; ამ ფაქტს ჩვენი პოლიტიკისა, დიდ გამარჯვებად სთვლიან. ჩემი ღრმა რწმენით კი არსებითად არაფერი არ შეცვლილა: ჯერ ერთი ყოველივე მოქმედება, მსჯელობა, განკარგულება ჩვენი დემოკრატიული მთავრობისა, განსაკუთრებით განაპირა ადგილებში უნდა იყოს სამართლიანი: ცალ-მხრივობა და მიდგომა ამცირებს ჩვენს გავლენას, ავტორიტეტს ხალხში. თუ მართალს ვიტყვით, არც ერთი ეხლანდელი ყოფილი წევრები აფხაზთა საბჭოისა წესიერად, დემოკრატიული არჩევნების პრინციპის მიხედვით არ ყოფილა არჩეული. თუ სამართლიანობის აღდგენა გვინდოდა კონსტიტუციონური წესის თანახმად, უნდა მოვქცეულიყავით: დაგვეთხოვა საბჭოს მთელი შემადგენლობა და ახალი, წესიერი არჩევნები მოგვეხდინა.

ჩვენ გაგვიხარდა, რომ ერთმა ნაწილმა საბჭოისამ ძალით გარეკა მეორე, ისეთივე სრულ უფლებიანი წევრი საბჭოისა, მაგრამ რა მოვიგეთ ამით? იცის, თუ არა მთავრობამ, რომ ეხლანდელი ვითომდა ჩვენი მომხრე აფხაზთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწედ და ფაქტიურად საქმეების გამგედ მოწვეულია კერენსკის კაბინეტში ყოფილი მინისტრის თანაშემწე დემიანოვიჩი? ეს დემიანოვიჩი არის მომხრე, თანამგრძნობელი და მესაიდუმლე იმ რუს მოღვაწეებისა: ტომარა-ზახაროვებისა და კომპანიისა, რომელნიც დაუძინებელი მტერნი არიან ქართველობისა და ყოველივე საშუალებას ხმარობენ, რომ ქართველობას აფხაზეთში ნიადაგი მოუსპონ, და ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენს მთავრობას აფხაზეთში ორი საგანგებო რწმუნებული ჰყავს, დიქტატორული უფლებებით აღჭურვილი. ერთი ბათომის „გამარჯვებაში“ სახელგანთქმული—გიზო ანჯაფარიძე და მეორე დარბაისელი, გამოცდილი, მაგრამ აფხაზეთის საქმეთა და ვითარებათა არ მცოდნე—ისიდორე რამიშვილი. რა ხდება ამ ჟამად აფხაზეთში, წარმოუდგენელია. ყოველივე ზომებს ხმარობენ ჩვენი აშკარა და ფარული მტრები, რომ ყველა წრის აფხაზებს ჩვენი თავი შეაძულონ. 160 კაცი ხალხში ცნობილი, და აფხაზეთში გავლენიანი საპატიო პირები დაატუსაღეს მხოლოდ იმიტომ, რომ ეხლანდელ საბჭოს წინააღმდეგი არიანო; დიდათ დარბაისელი კაცი დიმიტრი მარშანია, რომლის ერთად ერთი შვილი ჩვენ ჯართან ერთად ჩვენი მტერების წინააღმდეგ ბრძოლის დროს გულში ტყვიით იყო დაჭრილი შეიპყრეს და ოცი ვერსი (კოდორიდან სოხუმამდე) ფეხით ატარეს. შემდეგ თბილისში გადმოასახლეს და ეხლა კი გამოძიების შემდეგ უდანაშაულოდ იცნეს და გაანთავისუფლეს.

ამნაირი მოპყრობის გამო დღეს ყველა ის აფხაზი, ვინც ჩვენთვის თავს დასდებდა სამსხვერპლოდ, ჩვენი წინააღმდეგი შეიქნა; საბჭოს თავმჯდომარე, ვითომ ჩვენი მომხმარე მენშევიკი ექიმი შერვაშიძე, რომელიც აშკარად რუსის ორიენტაციის მომხრეა და რაც უფრო მზადდება ხალხში ჩვენ წინააღმდეგ განწყობილება, მით უფრო მკვახედ, მედიდურად და სასტიკად გვეპყრობა: ამ დღეებში დეპეშა გამოგზავნა კატეგორიული მოთხოვნით, რომ ჩვენი რეგულიარული ჯარი მეორე პოლკის ნაწილი დაუყონებლივ გამოვიყვანოთ აფხაზეთიდან!! ის ჯარი რომელმაც განსაცდელისაგან იხსნა მთელი აფხაზეთი, რომელმაც საარაკო გაბედულობა და მამაცობა გამოიჩინა ბოლშევიკებთან ბრძოლაში, ის ჯარი რომელმაც სახელი გაითქვა უცხოელთა შორის თავის თავდადებულ მოქმედებით, განა ეს ჯარი უნდა განიდევნოს აფხაზეთიდან? რას მოასწავებს დევნა, დამცირება, ჩაგვრა და ლანძღვა იმ სარდლის—მაზნიაშვილის, რომელმაც აღადგინა უცხოელ ერთა თვალში ქართველ მეომართა გმირობის ძველი სახელი?! ჩვენ გაზეთებში უკვე მოთავსებული იყო ცნობა, რომ ტუაპსე დაუპყრია ალექსეევის რაზმს და ყველა თანამდებობაზედ რუსის კადეტებია დანიშნული. რას უნდა ეუბნებოდეს ეს ქართველის გრძნობას? ნუ თუ საზოგადოება კავშირს ვერ ჰხედავს ამ მოვლენასა და იმ პოლიტიკის შორის, რომელსაც ჩვენ აფხაზეთში ვაწარმოებთ?! გაზეთებში გაკვრით იყო მოხსენებული, რომ აფხაზებმა დელეგაცია გაუგზავნეს ალექსეევს და სთხოვეს, რომ მან შეიერთოს აფხაზეთი და ქართველობის ძალადობისაგან იხსნასო.

ტუაპსე, ჩვენი სანაპიროების და საზღვრების გასამაგრებლად ისეთივე აუცილებელია, როგორც დარიალის ხეობა: თუ ტუაპსე ჩვენს განკარგულებაში არ იქნა, ზღვის სანაპიროების დაცვას და შენარჩუნებას ჩვენ ვერ შევძლებთ. საერთაშორისო დამოკიდებულებაში ნორმალურ პირობების დროსაც ომს არ ერიდებიან სახელმწიფოსათვის საჭირო საზღვრების მოსაპოებლად და ამ ჟამად, როცა არეულია ყოველივე უფლება და ვინც რასაც ხელთ იგდებს ის არის მისი ხვედრი, ჩვენ არც კი ვფიქრობთ ჯეროვანად დავიცვათ ჩვენი საჭიროება. ამას წინედ ჩამოვიყვანე ტუაპსედან ჩერქეზების დელეგაცია, რომელსაც სოფლის საზოგადოების მცხოვრებთა დადგენილებით სრული უფლება ეძლეოდა საქართველოსთან ხელშეკრულობის დადებისა.

ჩერქეზებს ისტორიულადაც და იურიდიულადაც აქვთ უფლება ტუაპსეს და სოჭის ოლქები თავის საკუთრებად ჩასთვალონ.

მიუხედავად იმისა, რომ დეპეშით ვამცნე მთავრობას ამ საქმის დიდი მნიშვნელობა ჩვენთვის, არავინ ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია. ამავე დროს ჩვენი დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ აშკარად მომქმედ „ემმისარებმა“ ისარგებლეს ამ შემთხვევით და თავიანთ სჯულზედ მონათლეს ჩვენი მოკავშირენი.

ალექსეევთან შესათანხმებლად სამოქმედო რწმუნებულთა შორის ნუ თუ არ შეიძლებოდა წასულიყო ერთი მაინც არა რუსულ ორიენტაციის მომხრე წევრი? როცა რაიმე საქმეს იცავ, თვით უნდა იყო დარწმუნებული იმ საქმის სამართლიანობაში. ბ. ჩვენმა საგანგებო რწმუნებულმა ევგენი გეგეჭკორმა მე თვითონ მითხრა: „რას ვეჩრებით ჩვენ ტუაპსესა და სოჭაში, როცა სამეგრელო ვერ დაგვიმშვიდებია“ო. შეიძლება ეს მართალი მოსაზრებაც იყოს, მაგრამ ამნაირი განწყობილებით ჩვენ ალექსეევს ვერაფერს გამოვრჩებით.

როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე, ერთგული ქვეშევრდომი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოსი, ვალად ვრაცხ განვაცხადო, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ პარლამენტის სხდომაზედ განხილულ იქმნეს ჩვენი მთავრობის პოლიტიკა აფხაზეთში. საჭიროა აგრეთვე, რომ შემდეგისათვის გაგზავნილ იქმნეს აფხაზეთში და საზოგადოდ შავი ზღვის სანაპიროებში ყოველივე არსებულ პირობათა გამოსარკვევად და სასურველი წესების დასამყარებლად კომისია, რომელშიაც უნდა შედიოდნენ ყველა მიმართულების წევრნი, რომ ცალმხრივად არ იქნეს განხილული საქმის გარემოება.

ნიკო თავდგირიძე.

კორესპონდენცია

გიორგი შერვაშიძის ხსოვნის აღნიშვნა ქ. სოხუმში

(წერილი სოხუმიდან)

ცნობილ საზოგადო მოღვაწის გიორგი შერვაშიძის გარდაცვალებიდან ნახევარი წლის აღსანიშნავად მის პატივის მცემელ აფხაზ-ქართველთა, სხვათა შორის, განიზრახეს პირველ სექტემბრისათვის მისი მოსახსენებელ წირვა - პანაშვიდის შესასრულებლად მოწვევა სოხუმში ჰყონდიდელ მიტროპოლიტის ამბროსისა. ეს უკანასკნელი საკათოლიკოზო საბჭოს მორიგ სესიაში გაწვევის გამო იმყოფებოდა თბილისში, მაგრამ ის სრული თანაგრძნობით შეხვდა სოხუმელ აფხაზ-ქართველთა ამგვარ კეთილ მამულიშვილურ მისწრაფებას და არ დაიზარა ამ მეტად შესაწუხებელ მიმოსვლის დროს თბილისიდან სოხუმში გამგზავრება, მით უფრო, რომ სახელოვან ქართველის გასვენებას 19 თებერვალს ბოლშევიკების მიერ გამოწვეულ საშინელ არეულობისა გამო ბევრი მისი პატივის მცემელი ვერ დაესწრო და ამისათვის მისი დასაფლავება მოქვის ტაძარში მოხდა მეტად უფერულად და სადად. მოსახსენებელ დღეთ დანიშნული იყო პირველი სექტემბერი.

31 აგვისტოს დილით, 10 საათ. მიტროპოლიტი ამბროსი ფოთის პორტის უფროსის ჯავახიშვილის მიერ ნათავაზებ მოტორი „გიდროგრაფით“ გამოემგზავრა ფოთიდან სოხუმისაკენ თანხლებით არქიმანდრიტ ნაზარისა ფოთის ტაძრის კრებულისა და ქუთაისიდან საგანგებოდ მოწვეულის მგალობელთა გუნდისა. ამინდი იყო მეტად საამო და წყნარი. ზღვის ღორების გამუდმებული თამაში ჩვენი გემის მახლობლად ართობდა და აქცევდა ყველას და განსაკუთრებით კი მგალობელთა გუნდის პატარა ბავშვებს, რომელნიც პირველად მიემგზავრებოდნენ ზღვით. მშვენიერი და ლამაზი სამეგრელო-აფხაზეთის ზღვის სანაპიროები, შემკული მდიდარი თვალ უწვდენელი ტყეებით და სხვა და სხვა ტროპიკულ მცენარეებით, მგზავრებზე საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენდა და ამავე დროს წარმოდგენა იმისა, რომ ეს ჩვენი ედემისებრ მშვენიერი ტურფა ქვეყანა დღეს ჩვენს საკუთარ ხელშია და ჩვენს საკუთარ სახელმწიფოს შეადგენს, ყველას გულში იწვევდა აუწერელ სიხარულსა და ბედნიერებას. და ამ სიამოვნების განცდის ნიადაგზე არა ერთხელ და ორჯელ ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტის წინადადებით გემზე შესრულებულიყო გუნდის მიერ ეროვნული გიმნი და სხვა ქართული პატრიოტული სიმღერები; ბავშვების ტკბილი ხმების წკრიალი ატკბობდა სმენას და საამოთ გაისმოდა ზღვის სივრცეში.

სოხუმში ჩვენ მიგველოდნენ საღამოს შვიდ საათზე, მაგრამ ჩვენმა გემმა, გასათბობ მასალის სიმცირის გამო, 10 საათზე ძლივს მიაღწია ნავთსადგურს, სადაც მიტროპოლიტს, ჩვენდა გასაკვირველად, დაუხვდნენ მხოლოდ ზოგიერთა კომიტეტის წევრნი. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ 7 საათისთვის სოხუმის ნავთსადგურზე ჰყონდიდელის შესაგებებლათ მოწლევებულმა ხალხმა იფიქრა ალბად, მიტროპოლიტი ხვალ მოდისო და დაიშალა. კომიტეტის წევრებმა მიტროპოლიტი საგანგებო მატარებლით მხლებლებითურთ წაიყვანეს ცნობილ ვაჭრის სამსონ ნინუას სახლში, სადაც მათი მეუფებისათვის განემზადებინათ ბინა.

მეორე დღეს, ქალაქში დილით ელვასავით გავრცელდა ამბავი ქართველ მღვდელმთავრის, ჰყონდიდელ მიტროპოლიტის მოსვლისა და, როდესაც 9 ნახევარზე გაისმა სოხუმის საკათედრო ტაძრის ზარის ხმა, ურიცხვმა ადგილობრივ აფხაზ-ქართველობამ მიაშურა საკრებულო ტაძარს, რათა გაიგონოს და დასტკბეს ქართული სამღვდელმთავრო წირვის მოსმენით. სწორედ 10 საათზე მობრძანდა თვით მიტროპოლიტი, რომელსაც ეკლესიის გალავანთანვე მიეგება ხალხი, გამომთხოველი მისგან ლოცვა-კურთხევისა.

ტაძარში მიტროპოლიტმა მიჰმართა რა ხალხს მოციქულებრივი მისალმებით, სხვათა შორის, სთქვა: „შესრულდა ოცდა ორი წელი მას შემდეგ, რაც მე იძულებით დავსტოვე ეს ჩემი საყვარელი ქალაქი და ტაძარი, სადაც ამ ხნის განმავლობაში ვცხოვრობდი და მღვდელთმსახურებდი. იმ დროს მაშინდელი ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი იმისთანა უკუღმართ და ჩვენი დამღუპველ პოლიტიკას აწარმოებდნენ, რომ ამ ტაძარში ერთი ასამაღლებელიც არ წარმოითქმოდა ქართულად; აღდგომას წაიკითხებოდა სახარება ხოლმე მრავალ სხვა და სხვა ენებზე, ქართული სახარება კი ყოველთვის განგებ იყო დატოვებული, რომ ამ საშუალებით მოესპოთ, გაექარწყლებიათ და აღმოეფხვრათ ქართველების გულში სამშობლო ქვეყნის და ეკლესიის სიყვარული. თუმცა უტყუარ ისტორიულ დოკუმენტების მიხედვით საქართველოს საზღვრები არამც თუ სოხუმს ტუაპსეს იქითაც გადასცილდებოდა, მაგრამ ისინი სოხუმს ჩვენი მოძმე აფხაზების დედა-ქალაქს რუსეთად სთვლიდნენ და ამნაირის აზრებით და გრძნობებით ჰკვებავდნენ და ზრდიდნენ მკვიდრ მცხოვრებთ. დღეს კი დადგა სხვა გარემოება. ისტორიამ ასი წლის ბოროტი უსამართლობა გაასწორა და იქ, სადაც პირველ საუკუნიდან მშობლიურ ენაზე გაისმოდა ღვთის ვედრება, დღეს ხელახლა შესაძლებელი გახდა მისი აღდგენა. ჩვენ ყველანი დღეს ამის მოწმენი ვართ და სწორეთ ამ სასიამოვნო გარემოებამ შეგკრიფათ თქვენ დღეს ასე ბლომად“.

შემდეგ დაიწყო წირვა. დიდი ტაძარი გაჭედილია ხალხით, მოსულან რუსებიც. გაისმის ტკბილი ქართული გალობა. სულგანაბული ისმენს ხალხი ქართულ ღვთისმსახურებას და ყველას ცხადათ ეხატება სახეზე სიამოვნება და სიხარული. ეტყობა დიდი გულნაკლულნი ყოფილან აქაურნი მკვიდრნი იმით, რომ დღემდე მოკლებული იყვნენ ამ გვარ სულიერ სიამოვნებას. წირვის გათავებისას ყოვლადუსამღვდელოესმა მიტროპოლიტმა კვლავ მიჰმართა ხალხს გრძნობიერი სიტყვით და განუმარტა მას მიზანი მისი სოხუმში მოსვლისა: გიორგი შერვაშიძის გარდაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულება, დაასურათხატა განსვენებულის მოღვაწეობა, პოლიტიკური და ეროვნული მისი იდეალები და მისწრაფებანი, შეეხო აფხაზ-ქართველთა დამოკიდებულებას და ურთი-ერთობას უძველეს დროიდან; რუსების ამ უკანასკნელ ხანის აფხაზ-ქართველთა გამთიშველ პოლიტიკას. „არც ძველად, სთქვა მიტროპოლიტმა, „როდესაც ჩვენი ეკლესია თვით განაგებდა თავის ბედს არ უწარმოებია და არც, რასაკვირველია, ეხლაც არ აწარმოებს მასზე უფრო მცირე რიცხოვან ეროვნების ეკლესიურად შთანთქმის პოლიტიკას, პირიქით, ყოველთვის ხელს უწყობდა სხვა თანამორწმუნე ხალხთა ეკლესიის ნაციონალიზაციას. საქართველოს ეკლესიის საუკეთესო წარმომადგენელნი ამ გვარად მოქმედობდნენ, წარმოიდგინეთ, იმ დროსაც კი, როდესაც იქ საშინლად ბობოქრობდა ჩვენი ხალხის გამანადგურებელ რუსის სინოდალური საეკლესიო პოლიტიკა. ამ აზრის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ სულმნათი ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც აფხაზთა შორის ქრისტიანობის დამკვიდრების საუკეთესო საშუალებად სთვლიდა სემინარიაში აფხაზური ენის სწავლების შემოღებას. მეორე ქართველმა მოღვაწე მღვდელმთავარმა, აწ უკვე განსვენებულმა კათალიკოსმა კირიონმა თავის სოხუმში ყოფნის დროს ბევრი აფხაზთა ეროვნების სასარგებლო საქმეები გააკეთა, სხვათა შორის, ჩაუყარა მტკიცე საფუძველი საღმრთო წერილის და სამღვთისმსახურო წიგნების გადათარგმნის საქმეს აფხაზურ ენაზე. აფხაზ-ქართველნი უნდა შეერთდენ ისე რომ ნაციონალურად თითოეულმა მათგანმა შეინარჩუნოს თავისი საკუთარი ელფერი მზგავსად იმისა, როგორც სხვა და სხვა საამო სუნის ყვავილები ,თუმცა შედიან თაიგულში, როგორც მისი ელემენტები, მაგრამ თავის სპეციფიურ თვისებას კი არ ჰკარგავენ და ამავე დროს ყველანი ერთად შეადგენენ ერთ საუცხოვო და მშვენიერ თაიგულს“. თავისი დიდად მნიშვნელოვანი სიტყვა მეუფებამ იმითი დაამთავრა, რომ მსმენელთ კვლავ მოაგონა ანდერძი განსვენებულისა გიორგი შერვაშიძისა, რომ აფხაზეთი უსაქართველოდ არ ივარგებს და საქართველო უაფხაზეთოთ და ურჩია ამ ორივე უმახლობელეს მონათესავე ტომთა სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ ამ სახელოვან ადამიანის დიდებული აზრების შეთვისება და ახლო მომავალში მათი განხორციელება. ნაწირვებს ეკლესიის გალავანში ჭირისუფალთა თხოვნით მიტროპოლიტმა გადაიხადა რევოლიუციის მებრძოლთა საფლავებზე პანაშვიდი და შემდეგ, დალოცა რა ხალხი, ეტლით დაბრუნდა თავის ბინაზე, სადაც ზევით დასახელებულმა უხვმა და სტუმართმოყვარე მასპინძელმა ნინუამ გაუმართა მას ნადიმი, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ აფხაზთა საბჭოს წევრნი ვარლამ ა. შერვაშიძის მეთაურობით, სოხუმის ყველა ეროვნებათა საბჭოთა წარმომადგენელნი და მრავალნი საპატიო პირნი.

სადილობამდის ჭყონდიდელ მიტროპოლიტს წარმოუდგა აფხაზთა საბჭოს ხუთი კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია. დეპუტაციის მეთაურმა ვ. შერვაშიძემ მოახსენა მათ მეუფებას, რომ ამ ჟამად მზად არის ნიადაგი აფხაზ-ქართველთა შორის ძველი მეგობრობის განახლება-განმტკიცებისა. აფხაზთა განკერძოებული მოქმედება გაუგებრობის შედეგი იყო, რასაც ხელს უწყობდა რუს-თათართა პროვოკაციული მოქმედება. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მათ მეუფებას, შუამდგომლობა ადგილობრივ სამხედრო მთავრობასთან, რომ 1) გაენთავისუფლებინათ უბრალო ეჭვით, ან პროვოკატორთა ცილისწამებით დატუსაღებულნი; 2) შეეჩერებინათ დამნაშავეთა დახვრეტა; „სამაგალითოდ და შეუბრალებლად დამნაშავეთა დასჯა“, სთქვა ვ. შერვაშიძემ, „სამართლიანი და კანონიერია და ამის წინააღმდეგ არავინ არაფერს იტყვის, მაგრამ უდანაშაულო ქალებისა და მცირე-წლოვან ბავშვების აწიოკება, მათი სარჩო-საბადებლისა და სახლ-კარის განადგურება აღემატება ყოველგვარ მტარვალობას“, 3) მთავრობამ აუნაზღაუროს აფხაზებს ზოგიერთი ჯარის ნაწილების უკანონობით მიყენებული ზარალი და 4) თუ შესაძლებელი იქნეს თვით საკათალიკოზო საბჭომ გამოუგზავნოს განადგურებულ და გადაბუგულ აფხაზთა ოჯახებს თავისი წვლილი; ამას ექმნება დიდი მორალური მნიშვნელობა ხალხისათვის და ხელს შეუწყობს აფხაზ-ქართველთა მეგობრობის განმტკიცებას. მიტროპოლიტმა დიდის ყურადღებით და თანაგრძნობით მოუსმინა ყოველივე ეს აფხაზთა თავმჯდომარეს და აღუთქვა ყოველგვარი დახმარება, 4 საათზე მიპატიჟებულნი დასხდნენ სადილად. ნადიმის დროს ბევრი საგულისხმიერო სიტყვები წარმოითქვა აფხაზ-ქართველთა შორის მეგობრულ კეთილ განწყობილების დამყარების საჭიროებაზე მიტროპოლიტიდან დაწყებული სხვა და სხვა საპატიო და სასულიერო და საერო პირთაგან და ყველა საბჭოთა წარმომადგენელთა მიერ. სიტყვებში შეეხენ, სხვათა შორის, რუს-ქართველთა და ბერძენ-ქართველთა დამოკიდებულებას. ნადიმის დროს თავ. ჯოტო შერვაშიძემ გადასცა მიტროპოლიტს ათასი მანეთი პრემიად იმისთვის, ვინც საუკეთესო თხზულებას დასწერს აფხაზეზე. მეორე დღეს დილით კვლავ მოვიდა მიტროპოლიტთან აფხაზთა საბჭოს თავმჯდომარე ჯოტო შერვაშიძე. უკანასკნელი მეტად დაღონებული იყო. მან აცნო ჭყონდიდელს რომ აფხაზთა საბჭოს უკანასკნელი ცნობებით აფხაზთა სოფლებში კვლავ ჰქონია ადგილი სახლების გადაწვას. „ეხლა—მოახსენა მიტროპოლიტს შერვაშიძემ, ზედმეტია თქვენი შუამდგომლობა სამხედრო მთავრობის წინაშე და უსარგებლოა აფხაზ-ქართველთა შორის მეგობრობის გამტკიცებისათვის. აწი თვით გარემოებათა მსვლელობას მივანდოთ აფხაზ-ქართველთა დამოკიდებულების გამორკვევა“. მიუხედავად ამგვარ მეტად გამწვავებულ მდგომარეობისა, 3 სექტემბერს ყოვლად სამღვდელომ არქიმანდრიტ ნაზარის თანხლებით ინახულა საავადმყოფოში გენ. მაზნიაშვილის მოადგილე ავადმყოფი პოლკოვნიკი თუხარელი, რომელთანაც მიტროპოლიტს ჰქონდა ხანგრძლივი ბაასი ამ ბოლო დროს აფხაზეთში მომხდარ ამბების გამო. მათმა მეუფებამ, როგორც ზედმიწევნით მცოდნემ აფხაზთა ზნე-ჩვეულებისა და ხასიათისა, მისცა ბ. თუხარელს ფასდაუდებელი ცნობები აფხაზ-ქართველთა შორის კეთილ განწყობილების დასამკვიდრებლად. გამოთხოვებისას მიტროპ. თანახმად აფხაზთა საბჭოს თავმჯდომარის წინადადებისა, აღძრა ბ. თუხარელის წინაშე შუამდგომლობა და პოლკოვნიკმა სიტყვა მისცა, რომ მის შუამდგომლობას ჯეროვანი ყურადღება მიექცევა და შესაძლებლობისამებრ შესრულებული იქნება. მართლაც, მეორე დღეს ადგილობრივმა სოხუმის გაზეთმა „Наше Слово“-მ გამოაქვეყნა, რომ პოლკოვნიკმა თუხარელმა ჭყონდიდელ მიტროპოლიტის შუამდგომლობით გაანთავისუფლა 8 ტუსაღი აფხაზი და აგრეთვე გაუგზავნა ფიცხელი ბრძანება პოლკოვნიკ კარგარეთელს ოჩამჩირეში, რომ მის მოსვლამდის სახლკარის გადაწვა შეჩერებულ იქმნეს, გამოყვანილ იყოს ჯარი იმ სოფლებიდან, სადაც მათი ყოფნა სამძიმოა მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის.

4 სექტემბერს მიტროპოლიტი დაესწრო ხალხით გაჭედილ ადგილობრივ თეატრში განსვენებულ გ. შერვაშიძის ხსოვნის პატივსაცემლად გამართულ საღამოს, რომელზედაც წაკითხულ იქმნა განსვენებულის ბიოგრაფია, მისი ზოგიერთი დაუბეჭდავი ლექსები. ქუთაისის გუნდმა შეასრულა ქართული საეკლესიო საგალობლები და საერო სიმღერები.

მათმა მეუფებამ სოხუმში ყოფნის დროს დაათვალიერა სატუსაღო, საავადმყოფო და ერთი ქალაქის განაპირას მდებარე სოფელი და მათი დროებითი ეკლესია. ხალხი დიდის აღტაცებით და სიხარულით შეხვდა მღვდელმთავარს; მან დარიგებით მიმართა ხალხს, განუმარტა სხვათა შორის, თანამედროვე გარემოებათა მსვლელობა და ურჩია არ აჰყვენ ბოლშევიკურ დამღუპველ მოძრაობას. მიტროპოლიტმა სოხუმში დაჰყო ერთ კვირამდე. ამ შემთხვევით ისარგებლა ბევრმა აფხაზეთის სხვა და სხვა კუთხის საერო და სამღვდელო საპატიო და გავლენიანმა პირმა, რომელთაც ინახულეს მათი მეუფება და მსჯელობდენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და საეკლესიო კითხვებზე. მიტროპოლიტი ყველას შესაფერ დარიგებასა და რჩევას აძლევდა.

ცხრა სექტემბერს სოხუმში ტუაფსედან მოვიდა ჩვენი რესპუბლიკის სწრაფმავალი გემი „ტავრიდა“, რომლითაც ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტი უკანვე ფოთში დაბრუნდა. საზოგადოთ მათი მეუფების ყოფნამ სოხუმში ადგილობრივ მცხოვრებლებზედ და კერძოდ აფხაზებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჭახრაკი.

თეატრი და მუსიკა

დრამა „ტარტო“. დასის შემადგენლობა: არგუტინსკაია-კოზლოვსკაია ე. ნ., აბელოვა ა. პ., ალექსანდროვი ა., ბარატინსკაია მ., ბუტკევიჩი ნ., ბელსკი დ., ვირუბოვი, დიმოვი ნ., მულინი ნ., ლელსკაია, როკსანოვი, ჩაიკოვსკაია, მიხაილოვსკი ნ. ნ., რეიხშტადტი და სხვ. რეჟისორები: ნ. მიხაილოვსკი, ა. ტუგანოვი, რეჟ. თანაშემწე ა. ალექსანდროვი. სეზონი გაიხსნება 5 ოქტომბერს „რევიზორი“-თ, კვირას არციბაშევის „ეჭვი“. განზრახულია მთელი რიგი ახალ წარმოდგენების.

„ლადია არგონავტოვ“. დღეს მეორე დღეა ახალი პროგრამის მეშვიდე ციკლის: „დუქანი ტოლედოში“ იმღერებს ლ. სპანიოლი, ცეკვა იდა ლასკარის, „უწინ და ეხლა“ (პეტერბურგის თეატრის „ინტერმედიის სახლი“-ს რეპერტუარიდან); „პრინცესსა და მასხარა“, „სიყვარულის სიზმარი“—შეასრულებენ ვ. ბურაგო-ცეხანოვსკაია და კნ. ტ. მაჩაბელი. პროგრამაში ხელმეორედ იდგმება დამსწრეთა თხოვნით სანდრო ყანჩელის „ჩაი ხანე“.

სახელმწიფო თეატრი. დღეს პირველად მიდის „აიდა“. დირიჟორობს ბ. სტოლერმანი. მონაწილენი შვანბერგი, სპიტკო, კანმინი, პოლიაევი და სხ. ხვალ მესამეჯერ „კარმენი“. ემზადებიან „ლოენგრინისთვის“.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

ამიერ-კავკასიის ბანკი

მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრების ამა წლის 14 იანვრის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა, ამიერ-კავკასიის ბანკი ადიდებს ძირითად თანხას **3,000,000 მანეთიდან 6,000,000 მანეთამდე 12,000 აქციათა მეორე გამოცემით,** თითო აქციის ოცდახუთ თუმნის ნორმალური ღირებულებით შემდეგი პირობით:

1) **გამოსაცემი ფასი** ამ აქციებისა დანიშნულია **300 მანეთი**—თითო აქციაზე, რომელი თანხაც სრულად უნდა გადახდილ იქნეს აქციაზე ხელის მოწერის დროს.

2) შემოსული ფულიდან: ოცდახუთი თუმანი ჩაირიცხება ძირითად თანხაში. ოთხი თუმანი სათადარიგო თანხაში და დანარჩენი ერთი თუმანი აქციის დასამზადებელ ხარჯებისა და მისი სადერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.

3) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა მეპატრონეთ: **ძველ აქციაზე დაეთმობათ თითო ახალი აქცია.**

4) მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა დაიწყება **1918 წლის 1 ოქტომბრიდან** ქვემოთ ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებში და გაგრძელდება: **ა) თბილისში,** ამიერ-კავკასიის ბანკში **1918 წლის 1 დეკემბრამდე ბ) ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სიღნაღში, გორში, ხონში, სენაკში, ყვირილაში, კავკავში** საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში და ბაქოში—**ნ. ჯაყელთან 1918 წლის 15 ნოემბრამდე.**

5) როდესაც ბანკის ახლანდელი აქციონერები დაკმაყოფილებული იქნებიან **თითო აქციით ყოველ ძველ აქციაზე,** გაუნაღდებელი აქციათა შეძენის უპირატესობა ენიჭებათ პირველი გამოცემის აქციების ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკვეთილი აქციათა ღირებულების პირველი ნახევარი შემოტანილი აქვთ და მეორე ნახევარი არ შემოიტანეს, რის გამოც დაეკარგათ აქციების შეძენის უფლება.

ამ პირებმა შესაფერი განცხადება და აქციათა ფასი უნდა წარუდგინონ მეოთხე მუხლში ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებს და პირს იქვე აღნიშნულ დროს განმავლობაში.

6) გაუნაღდებელი აქციები, მას შემდეგ, როდესაც 5-ე მუხლის თანახმად დაკმაყოფილებული იქნებიან ის პირნი, რომელთაც აქციათა შეძენის უფლება დაკარგული ქონდათ, განაწილდება პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეთა შორის; ამათ მე 4-ე მუხლში აღნიშნულ ვადაში უნდა განაცხადონ თუ რამდენი აქციის შეძენა სურთ მეორე გამოცემის პირობების თანახმად; თუ მათ მიერ მოთხოვნილი აქციათა საერთო რიცხვი აღემატება გაუნაღდებელი აქციათა რაოდენობას, იმ შემთხვევაში განცხადებების ძალით და პირველი გამოცემის წარმოდგენილ აქციების მიხედვით მოხდება აქციების შესაფერი განაწილება.

7) აქციებზე ხელის მოწერის დროს აქციონერები მოვალენი არიან თავიანთი დროებითი მოწმობები ცალკე განცხადებასთან წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

8) ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკარგული აქვთ პირველი გამოცემის აქციათა შეძენის უფლება და სურთ ისარგებლონ 5-ე მუხლში აღნიშნულ უფლებით აქციათა მეორე გამოცემის დროს, ვალდებულნი არიან საორგანიზაციო კომიტეტის „კვიტანცი“-ები წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

9) ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ განცხადებებს მოწმობებით და „კვიტანცი“-ებით და აღნიშნულ ვადაში სრულიად არ გადაიხდიან აქციათა ღირებულებას, მეორე გამოცემის აქციათა შეძენის უფლებას კარგვენ.

10) ახალი აქციონერები ბანკის **მოგებაში (დივიდენდი) იღებენ მონაწილეობას 1919 წლის პირველ იანვრიდან ისე,** როგორც პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეები.

11) აქციათა ფასების მიღებაში აქციონერებს მიეცემათ „კვიტანცი“-ები, რომლებიც ხელის მოწერის გათავებისა და აქციათა განაწილების შემდეგ შეიცვლება ნამდვილი აქციებით.

შენიშვნა: ნამდვილი აქციები იბეჭდება საქართველოს რესპუბლიკის ექსპედიციაში და დამზადებული იქნებიან **1918 წლის 1-ლ ნოემბრისათვის.** 10—4

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თბილისიდან გადის

			საათი	წ.
ფოთისკენ	№ 23		7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9/10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისკენ	№ 4/30	დღის	1	—
თბილისში მოვა				
ფოთიდან	№ 24	შუად.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 40/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

იყიდება
პიანინო ბეკერისა
მისამართი: მოსკოვის ქ. № 20 მესამე სართულზე, ბინა № 4; გაჟონია— ფასი 2,600 მ. 3—3

იყიდება
სახლი
ცნობების მიღება შეიძლება: მოსკოვის ქუჩა № 20, მესამე სართული, ბინა № 4; ბ. გაჟონია. (5—4)

ვღებულობ ყოველნაირ საქმის ქაღალდს
ქართულ მანქანაზედ გადასაბეჭდავათ,
თომას ქუჩა, № 28, შესასვლელი სინოდალური ქუჩა № 1.

ინტელიგენტ ქალთა წრე
იღებს შესაკერავებს როგორც საზეიმო, აგრეთვე საშინაო და საგარეო კაბებისას და „კოსტიუმების“-ს როგორც მოზრდილთათვის, აგრეთვე ბავშთათვის, ყოველგვარ მხატვრულ საქარგავ-საქსოვებს. „წრის“ სკოლაში მოწაფეებთან მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან; მოწაფეების მიღება უკვე სწარმოებს (ღარიბები უფასოთ). აქვე მიიღება „მერეჯკები“. სკოლა უფლებებით აღჭურვილია. ვერის დაღმართი, სახლი № 3, ბინა 9. შესავალი წიგნის მაღაზიის გვერდით. 10—3

თბილისის საოსტატო ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი პირველ დაწყებითი
სასწავლებელი
ამით აცხადებს, რომ სასწავლებელში უკვე დაიწყო მოწაფეთა მიღება. პირველ კლასში მიიღებიან გამოუცდელად ისინი, ვისაც პირველდაწყებითი სასწავლებელი გაუთავებიათ. დანარჩენ კლასებში ან შესაფერი მოწმობით ან გამოცდით. სწავლა იწარმოებს ქართულად. სწავლის ფასი სამი თუმანია წელიწადში. თხოვნები მიიღება ყოველ დღე ინსტიტუტის კანცელარიაში, დიდი მთავრის ქუჩა № 91 დილის 10 საათიდან 1 საათამდე. 3—1014—4

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—1536—50

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
ქირ. და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილება
მწოლიარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ ი. ბ. მძინარიშვილის და ლ. ნ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება— საღამოს 4-დან—8-მდის, ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 0—12-მდე უფასოდ.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა
თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალკლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.